



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის აქტუალური საკითხები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

თეონა ლაზარაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2021

## შინაარსი

ანოტაცია .....	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
<b>თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა .....</b>	<b>7</b>
<b>თავი II. მემკვიდრეობით სამართლის წარმოშობა და განვითარება .....</b>	<b>10</b>
1.1 მემკვიდრეობა და მისი თავისებურებანი ძველი რომის სამოქალაქო სამართალში.....	10
1.2 მემკვიდრეობა ძველი ქართული მემკვიდრეობის სამართლის მიხედვით.....	13
1.3 მემკვიდრეობა საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით .....	16
<b>თავი III. ანდერძისმიერი მემკვიდრეობა თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობით.....</b>	<b>18</b>
3.1 ანდერძის ფორმა, დადების წესი და სახეები. ....	19
3.2 ანდერძის შეცვლა, მოშლა და ბათილობა .....	21
3.3 ანდერძის აღსრულება .....	26
3.4 სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე .....	28
3.5 საანდერძო დანაკისრი (ლეგატი).....	32
3.6 სავალდებულო წილი .....	
<b>თავი IV. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....</b>	<b>36</b>
<b>თავი V. კვლევის შედეგები.....</b>	<b></b>
დასკვნა .....	46
გამოყენებული ლიტერატურა.....	49

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის აქტუალური საკითხები. გამოყენებული მასალა, ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომები. ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შინაარს, შესავალს, ოთხ თავს, ქვეთავებს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას.

შესავალ ნაწილში ვეხები თემის აქტუალობას. პირველ თავში განხილულია მოკლედ ტემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მეორე თავში ვეხები მემკვიდრეობით სამართლის წარმოშობას და განვითარებას, მესამე თავი მოიცავს ანდერძისმიერი მემკვიდრეობას თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობით.

## **Annotation**

It has to be mentioned that in the previous piece of work ,the main points are discussed that concern the inheritance will. I have used some important theoretical material. The Informational basis consists of the abstract, the introduction ,four sub- chapters and the conclusion written by different Georgian and foreign authors. The Introduction part underlines the actuality of the research topic. In the first chapter a short abstract is represented that depicts the main resources used in the work. The second chapter highlights the process that reflects the creation of the inheritance law while the third chapter includes inheritance law based on the modern national legislation

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში არაერთი პრობლემური საკითხის წინაშე დგას. არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებას. უფრო მეტიც, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებების, როგორც უზენაესი სოციალური და სამართლებრივი ღირებულების აღიარებასა და დაცვას.

ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ კატეგორიას განეკუთვნება მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის უფლება, ეს არის საკუთრების შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საშუალება და პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც, ემსახურება საკუთრების ინსტიტუტის დაცვას და მიზნად ისახავს, სახელმწიფოს ხელში კერძო საკუთრების მოქცევის შესაძლებლობის შემცირებას. მემკვიდრეობის უფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალმემკვიდრეობით გზით საკუთრების უფლების შენარჩუნება მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ. ამ უფლების არარსებობის პირობებში ქონება ავტომატურად სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა, რაც თავის მხრივ დაასუსტებდა საკუთრების ინსტიტუტს.

მემკვიდრეობის ინსტიტუტს მდიდარი ისტორია აქვს. ჩვენს ქვეყანაში მან მნიშვნელოვანი განვითარება მიიღო კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების შემდეგ. ამ მხრივ მოხდა მემკვიდრეობის კანონის შემუშავება. საქართველოს მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააფართოვა მემკვიდრეობითი საკუთრების ობიექტების ასორტიმენტი, შემოიტანა ნების ახალი ფორმები.

საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია მემკვიდრეობის მიღების საფუძვლების ანდერძისმიერი მემკვიდრეობის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ადგილით მემკვიდრეობით სამართალში და მეორეს მხრივ, აღნიშნული ინსტიტუტის იმ ნორმათა განხილვით, რომლებიც გარკვეული დოზით დამუშავებას საჭიროებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ სანოტარო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც გულისხმობს ნოტარიუსის როგორც მედიატორის როლს, მნიშვნელოვანია სამკვიდროს დროულად მიღების და ეფექტურობის თვალსაზრისით.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანია, მემკვიდრეობითი სამართლით გამყარებული ანდერძისმიერი მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის ანალიზი.

ხოლო, ძველი და თანამედროვე ქართული სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად შემდეგი ამოცანების წარმოგენა, ესენია:

- ✓ მემკვიდრეობითი სამართლის წარმოშობა და განვითარება. კერძოდ: ძველი რომის სამართალში, ძველი ქართულ მემკვიდრეობით სამართალში; ქართული საბჭოთა სამართალში.
- ✓ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის კვლევა ანალიზი თანამედროვე ქართულ სამართალში. სადაც განხილული იქნება: ანდერძის ფორმა, დადების წესი და სახეები; ანდერძის შეცვლა, მოშლა და ბათილობა; ანდერძის აღსრულება; სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე; საანდერძო დანაკისრი (ლეგატი).
- ✓ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.
- ✓ ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან არსებული პრობლემები.

**კვლევის მეთოდები:** სამაგისტრო ნაშრომის კვლევა წარმოებულია სამოქალაქო კანონმდებლობაზე, ასევე, სამეცნიერო მონოგრაფიებზე, პერიოდულ და ნორმატიული ლიტერატურაზე დაყრდნობით, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა დასკვნები გამოტანა. ასევე, გამოყენებულია უცხო ქვეყნების მიერ წარმოებული მემკვიდრეობითი სამართლის სამართლებრივი რეგულირება შედარებითი ანალიზისათვის.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგად-სამეცნიერო მეთოდები. კვლევა ეფუძნება ისტორიულ, ნორმატიულ, ლოგიკურ და შედარებით-სამართლებრივ მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც წარმოვაჩინე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით ძველად და ახლად.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს თემა „ანდერძისმიერი მემკვიდრეობის აქტუალური საკითხები“.

მემკვიდრეობის უფლება რეალიზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნით - „მემკვიდრეობის სამართალი“. სამემკვიდრეო სამართლის ბევრი ნორმა უშუალოდ ეხება სანოტარო საქმიანობას. ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებამ მემკვიდრეობის პრობლემათა ახლებური ხედვისა და გადაწყვეტის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში გამოიკვეთა სანოტარო პრაქტიკის როგორც დადებითი ასევე ნაკლოვანი მხარეები. სამართლებრივ დოქტრინაში გაჩნდა წინადადებები, რომელთა მიზანია მემკვიდრეობის სადავო საკითხების რაციონალური გადაწყვეტა. მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია და შორს დგას მისი სოციალური ბუნებისგან. მემკვიდრეობა ორგანულად არის დაკავშირებული საკუთრებასთან. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს ერთ-ერთ უპირველესი ადგილი უკავიათ კონსტიტუციით აღიარებულ არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ საერთოდ ყველა უფლებათა შორის. ანდერძით მემკვიდრეობის დროს, მემკვიდრეობის წინასწარ აქვს განსაზღვრული, თუ ვის და რა რაოდენობით დარჩება მისი ქონება.

მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს გარანტირებულ შესაძლებლობას, იცხოვროს და იშრომოს იმის შეგნებით, რომ მის მიერ სიცოცხლეში შექმნილი მატერიალური თუ სულიერი სიკეთე თავისივე ნების საფუძველზე მისი გარდაცვალების შემდეგ გადავა ახლობელი ადამიანების ხელში.

სამემკვიდრეო სამართლის სფეროში ცნობილი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით, ყველანაირად შევეცადე ჩამომეყალიბებინა და გადმომეცა ანდერძით მემკვიდრეობის არსი, მისი სახეები და წარმომეჩინა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ვფიქრობ ანდერძით მემკვიდრეობის სამართლისთვის არის დამახასიათებელი. ასევე შევეცადე მომეხდინა შედარებითი ანალიზი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს შორის, ანდერძით მემკვიდრეობის სამართლებრივი კვლევის საფუძველზე.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ყველა ის სამეცნიერო ლიტერატურა, მონოგრაფიები, პერიოდული სამეცნიერო სტატიები რომლებმაც მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია, რათა

ჩამომეყალიბებინა, გამეანალიზებინა და წარმომეჩინა სამართლებრივი კუთხით ანდერძით მემკვიდრეობის საკითხი. ესენია:

1. ისტორიული ნაწილის წარმოჩენაში დამეხმარა - მიხაილოვა ნ., რომის სამართალი, თბილისი, 2009; მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამ. "მერიდიანი", თბილისი, 2003; მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები, თბილისი, 2009; ნადარეიშვილი, გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი. გამ. „მერიდიანი“, თბილისი. 1996; ნარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2005; სურგულაძე ივ. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბილისი. 2002; ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2003;
2. განსაკუთრებულად დამეხმარა - ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000; შენგელია რ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015; ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 2007; გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, II გამოცემა, გამ. "მერიდიანი", თბილისი, 2012;
3. პერიოდულ გამოცემებში წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიები - გველესიანი ი. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით, მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები. I. თბილისი, 2011, გვ. 169-170; გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67; კვინიკაძე რ., მემკვიდრეობა კანონით და ანდერძით, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი, 2010, გვ.95-98;
4. რაც შეეხება უცხოენოვან ლიტერატურას, ისინი დამეხმარე, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართლის შედარები ნაწილში - Абраменков, М.С. Наследование по завещанию в зарубежных странах / М.С. Абраменков // Наследственное право. 2008. № 4; Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики,“ М., 2009, №4; Зенин И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2013; Тарасевич М. В., Правовое регулирование наследования по

завещанию в праве зарубежных стран, Челябинский Государственный университет, 2020;  
Харитонов У. О., История частного (гражданского) права Европы, Одесса, 1998;  
გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალა - საქართველოს კონსტიტუცია;  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცვლილებებითა და დამატებებით.

## თავი II. მემკვიდრეობით სამართლის წარმოშობა და განვითარება

### 1.1 მემკვიდრეობა და მისი თავისებურებანი ძველი რომის სამოქალაქო სამართალში

სამართლის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის სამართლის წარმოშობას. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართლის განვითარება რამდენიმე ეტაპად შეიძლება წარმოვადგინოთ. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვითარდებოდა ძველი რომის სახელმწიფო კულტურა, ეკონომიკა, მეცნიერება, ვითარდებოდა ძველი რომის სამართალიც და მათ შორის მემკვიდრეობის სამართალიც. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის ცნება ჯერ კიდევ სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე გაჩნდა. თავდაპირველად მემკვიდრეთა წრეს მთელი გვარი წარმოადგენდა და სამკვიდრო ქონება არ შეიძლებოდა გვარის გარეთ გასულიყო. ხოლო, მას შემდეგ, რაც გვარის დაყოფა მოხდა „დიდ ოჯახებად“, მემკვიდრეობაც ამ ოჯახის წევრებს შორის ნაწილდებოდა. იმ დროს ოჯახი პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა და მის სათავეში იდგა მეთაური (pater familias). ოჯახის ცალკეულ წევრებს არ შეეძლოთ ჰქონოდათ კერძო საკუთრება, ოჯახის მეთაურში იყო თავმოყრილი ოჯახის წევრების ყველა უფლება. დროთა განმავლობაში ოჯახის წევრებმა მოიპოვეს მეტი დამოუკიდებლობა, რაც აისახა მემკვიდრეობის სამართალზეც.<sup>1</sup> ძველი რომის სამართალი იცნობდა როგორც კანონით, ასევე ანდერძით მემკვიდრეობას. თუ არ არსებობდა ანდერძი, რომლითაც მამკვიდრებელი თავისი ქონების გადანაწილებას მოახდენდა, სამკვიდროს კანონით მემკვიდრეები დაეუფლებოდნენ. ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელი პირობა იყო, რომ მოანდერძე ქმედუნარიანი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა ანდერძი გაბათილებულიყო. ანდერძის თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იყო. მისი განხილვა უნდა მომხდარიყო სახალხო კრების მიერ და გადაწყვეტილებით ბოროტად ხომ არ იყენებდა მოანდერძე თავის უფლებებს და იყო თუ არა მისი გადაწყვეტილება სამართლიანი. ანდერძი უნდა დაემოწმებინა 7 მოწმეს. ისტორიული წყაროების მიხედვით ანდერძით მემკვიდრეობას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა, მაგრამ განსაკუთრებულად მისი როლი გაიზარდა იმპერიის ხანაში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> გ. ნარეიშვილი „რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2005, გვ.148-149

<sup>2</sup> ნ.ვ მიხაილოვა რომის სამართალი, თბ., 2009. გვ. 192

აგრეთვე არსებობდა ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადების წესი, ზოგჯერ ანდერძი ვერ იქნებოდა მოქმედად აღიარებული. ასეთ საკმარად გავრცელებულ მიზეზებს მიეკუთვნებოდა: ანდერძის სავალდებულო ფორმის იგნორირება; კონკრეტულად დასახელებული მემკვიდრის არყოფნა და ა.შ. რომაელები მიზეზების მიხედვით ასხვავებდნენ საანდერძო განკარგულებების შემდეგ სახეობებს:

1. ბათილი ანდერძი, რომელიც შედგენილი იყო ყველა მოთხოვნის დარღვევით ან არაუფლებამოსილი პირის მიერ.
2. უკანონო ანდერძი, რომელიც შედგენილი იყო დადგენილი კანონიერი წეს-ჩვეულებების შეუსაბამოდ.
3. შეწყვეტილი ანდერძი, რომელიც შედგენილი იყო იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც თავისი ოჯახის სტატუსიდან გამომდინარე არ ჰქონდა ამის უფლება.
4. დაუმტკიცებელი ანდერძი, რომლის ლეგალურობა საეჭვო იყო მემკვიდრეობის გახსნის მომენტში მამკვიდრებლის უფლებრივი მდქომარეობის შეცვლის შედეგად.
5. ტყუილი ანდერძი, რომელიც გაგზავნილი იყო სინამდვილეში არარსებული მემკვიდრის მიმართ.
6. გაუქმებული ანდერძი, რომლის მოქმედებაში შესვლა სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო გადადებული კანონიერი მემკვიდრეობის საჩივრის შედეგად კანონით გათვალისწინებული მათი კუთვნილი მემკვიდრეობის (სავალდებულო წილის) წილის (სრული ან ნაწილობრივი) ჩამორთმევის თაობაზე.<sup>3</sup>

აგრეთვე, რომის სამართალი იცნობდა აუცილებელი მემკვიდრეობის ინსტიტუტს, რომელიც მამკვიდრებელს ავალდებულებდა, რომ მას თავის ანდერძში მიეთითებინა კანონით უახლოესი ნათესავები. თუმცა შესაძლებელი იყო აუცილებელი მემკვიდრეობის ჩამორთმევა, რომელიც იმ შემთხვევაში ხდებოდა როდესაც არსებობდა ამის არსებითი საფუძველი და შესაბამისი განმარტებები. მაგალითად ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ნათესავის უღირსი ქცევა მამკვიდრებლის მიმართ, აგრეთვე მშობლების ნების იგნორირება. ისტორიული წყაროების მიხედვით ანდერძით მემკვიდრეობას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა, მაგრამ განსაკუთრებულად მისი როლი გაიზარდა იმპერიის ხანაში.

კანონით მემკვიდრეობის საკითხი მაშინ დგებოდა, თუ სამკვიდროს დამტოვებელი ანდერძს არ დაწერდა, ან თუ ანდერძი ბათილი ან ყალბი აღმოჩნდებოდა. კანონით მემკვიდრეთა წრე კი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. XII ტაბულის კანონების მიხედვით კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიოდნენ აგნატები (აგნაციო - მამის მხრიდან ნათესაობა), ანუ

<sup>3</sup> ნ.ვ. მიხაილოვა., რომის სამართალი, თბ., 2009. გვ. 192-193

შვილები და შვილიშვილები. თუ ეს უკანასკნელნი სახეზე არ იყვნენ მემკვიდრეობა გადაეცემოდათ ახლო ნათესავებს და ნათესავებს.

მემკვიდრეობის სამართალმა ძირეული ცვლილებები განიცადა, ჯერ კიდევ იმპერატორი იუსტინიანეს დროს (527-565). სწორედ, ამ დროის ძველი რომის სამართალმა თავისი პირვანდელი სახე დაკარგა და იუსტინიანეს მემკვიდრეობის სამართლის პრინციპები მისსავე ნოველებში ჩამოყალიბდა. ამ კანონმდებლობიდან გამომდინარე, მემკვიდრეობის მიღების მთავარ საფუძვლად განისაზღვრა სისხლით ნათესაობა ანუ „კოგნაციო“, უარყოფილ იქნა პირველშობილობის უფლება. მემკვიდრეობასთან მიმართებაში მდედრობითი და მამრობითი სქესის უფლებები გათანაბრდა. გვერდითი ხაზის ნათესავებს მემკვიდრეობის მიღების უფლება ჰქონდათ, იმდენად რამდენადაც მათი მშობელი სისხლით ახლოს იდგა გარდაცვლილ ნათესავთან.<sup>4</sup> ამ ყველაფრის გათვალისწინებით კანონით მემკვიდრეთა წრე შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. მამკვიდრებლის დაღმავალი ხაზის ნათესავები (შვილები და შვილიშვილები).
2. მამკვიდრებლის აღმავალი ხაზის სისხლით ნათესავები (მშობლები და მათი მშობლები).
3. ნებისმიერი რანგის ნათესავები.
4. ცოცხლად დარჩენილი მეუღლე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ რომის სამემკვიდრეო სამართალმა რთული გზა განვლო. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა იმ სახით, რომ რომის სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპები და ცნებები გამოიყენეს განვითარებულმა ქვეყნებმა სამოქალაქო სამართლის შექმნისას.<sup>5</sup>

---

<sup>4</sup> ი. გველესიანი ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით, მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები. I. თბილისი, 2011, გვ. 169-170;

<sup>5</sup> ნ.ვ მიხაილოვა „რომის სამართალი, თბ., 2009. გვ. 194

## 1.2 მემკვიდრეობა ძველი ქართული მემკვიდრეობის სამართალის მიხედვით.

ქართული სამართალი მემკვიდრეობის საკითხებში ეფუძნებოდა ბერძნულ სამართალს, კერძოდ მის „ოჯახურ წესს“, როდესაც სამკვიდრო ქონება პირველ რიგში გადაეცემოდა და დამავალი ხაზის, შემდეგ აღმავალი და გვერდითი ხაზის მემკვიდრეებს.

მემკვიდრეობის სამართალს განვითარების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „მემკვიდრეობის სამართალი“ შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ე.ი. მას შემდეგ, რაც საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლობებად დაიყო.<sup>6</sup>

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ უკვე V საუკუნეში ღვიძლ ძმებს ერთსახლად აღარ უცხოვრიათ, მაშასადამე თუ უძრავი ქონება გაყოფილი არ ჰქონიათ, თითოეულს მაინც თავისი მეურნეობა და საკუთარი მონაგები უნდა ჰქონოდა. უეჭველია ამაზე ადრეც, მაგრამ მაინცდამაინც VIII-IX საუკუნეში საკუთრების გაყოფაცა და მემკვიდრეობის სამართალიც უკვე არსებობდა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებში გ. მერჩულეს ნაამბობი აქვს, რომ „ვითარცა აღესრულეს მშობელნი მისმი (ზენონისა), მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მისთანა“. საკუთრების შექმნა შეიძლება ან მემკვიდრეობით, ან ანდერძის ძალით, ან არადა სყიდვით<sup>7</sup>. მაშასადამე, მემკვიდრეობის სამართალი უკვე არსებობდა და იგი ძველი ქართული სამართლიდან იღებს სათავეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობით სამართალს ფეოდალურ საზოგადოებაშიც სამართლის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ამ დროისათვის ძირითად ქონებრივ მასას, ღირებულების თვალსაზრისით, უძრავი ქონება - ადგილ-მამული წარმოადგენდა. ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტის ერთი პირიდან მეორეს ხელში გადასვლა მემკვიდრეობით იყო შესაძლებელი. იმ დროისათვის უკვე არსებობდა მემკვიდრეობის ორი ფორმა: კანონით და ანდერძით მემკვიდრეობა.

მეფე დავით აღმაშენებლის დროსაც ძირითადად მიმართავდნენ კანონიერ მემკვიდრეობას, მაგრამ ადგილი ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეებსაც. ანდერძში გადმოიცემოდა მოანდერძის მთელი ბიოგრაფია, წყდებოდა ქონებრივი და არა ქონებრივი ხასიათის საკითხები, გამოკვეთილი იყო მოანდერძის ინტერესები. ასევე არსებობდა მოანდერძის დანაკისრის ინსტიტუტიც. ანდერძი უნდა ყოფილიყო ნების გამომხატველი, შედგენის მომენტში მოანდერძე უნდა ყოფილიყო ქმედუნარიანი,

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი ., თხზულებანი, ტ. VII, 1984., გვ. 272

<sup>7</sup> იქვე. გვ. 272-273

წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ჩაითვლებოდა ბათილად. ანდერძის შემდგენს უნდა სცოდნოდა მისი შედგენის ფორმა ამიტომ ხშირად მას სასულიერო პირი ჩამოაყალიბებდა და მამკვიდრებელი ხელს მოაწერდა. მიღებული იყო ასევე ანდერძის ზეპირი ფორმა, რასაც მიუთითებს ვახტანგ VI კანონთა კრებულის 94-ე მუხლი, როდესაც დასაშვები იყო ნების დაფიქსირება მომხდარიყო მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.<sup>8</sup>

ბექა-აღბუღას სამართლით, მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით ანდერძის გაუქმება შეიძლებოდა – ახალი ანდერძი აუქმებდა ძველს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისას, ქონების გადასვლას სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მონათმფლობელური ან ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური წყობის პირობებში.<sup>9</sup>

„ანდერძი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და პირირ უკანასკნელ ნება-სურვის, მითითებას ან დანაბარებს ნიშნავს, ამ ტერმინის დამკვიდრებამდე საქართველოში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „აღთქუმაი“. იურიდიული ტერმინი „ანდერძი“ მოგვიანებით შემოვიდა, მართალია, იგი უმეტესად პირთა შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.<sup>10</sup>

ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, არსებობდა წერილობითი და სიტყვიერი ანდერძი. თუ ანდერძი შეეხებოდა მნიშვნელოვან ქონებას, მაშინ დაცული უნდა ყოფილიყო ანდერძის ფორმა ანუ მითითებული უნდა ყოფილიყო მოანდერძის ვინაობა, ის ფაქტი, რომ ანდერძი შედგენილი იყო მისი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, და მოანდერძე უნდა ყოფილიყო სრულ ჭკუაზე. ასევე საჭირო იყო მოწმეების დასწრება და მოანდერძისა და მოწმეების მიერ ანდერძზე ხელისმოწერა. წერა-კითხვის უცოდინრობის შემთხვევაში მოანდერძის სურვილის შესაბამისად სხვას უნდა მოეწერა ხელი.<sup>11</sup>

აღსანიშნავია, რომ მთელის რიგი ქვეყნების ძველი კანონმდებლობა არ იცნობს ანდერძით მემკვიდრეობას. ქართული წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ანდერძის ინსტიტუტი ადრეფეოდალურ ხანაში იყო ცნობილი. ანდერძის შესახებ ცნობებს გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის ანდერძები. როგორც ბესარიონ ზოიძე მიუთითებს, ფეოდალური ხანის ქართული ანდერძები კომპლექსური ხასიათისაა, იმდენად, რამდენადაც მათში მხოლოდ ქონების ბედზე კი არაა საუბარი, არამედ ხშირად სხვა

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი., თხზულებანი, ტ. VII, 1984., გვ. 273

<sup>9</sup> გ. ნადარეიშვილი, . – ძველი ქართული საოჯახო სამართალი. გამ. „მერიდიანი“, თბილისი. 1996, გვ. 199

<sup>10</sup> ბ. ზოიძე., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2003, გვ.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი., თხზულებანი, ტ. VII, 1984., გვ. 276

საკითხებზედაც, მაგალითად, ტახტის მემკვიდრეობის, საოჯახო ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე.<sup>12</sup>

მემკვიდრეობის ობიექტად შეიძლება ყოფილიყო მოძრავი და უძრავი ქონება (ნასყიდი ქონება, მონაგები, ნასისხლი, საკარგავი). თუმცა, მემკვიდრეობის სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მემკვიდრე ვაჟიშვილი და ქალიშვილი თანაბარი უფლებებით არ სარგებლობდნენ. ქალიშვილი შედარებით დაჩაგრული იყო. ბ. ზოიძის აზრით, ვაჟის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ის გვარის და ამით სახლის სიცოცხლის გამგრძელებელიც იყო. ასევე მეურნეობის წარმოებაში მამაკაცი იყო მთავარი სუბიექტი. ქალი კი - სხვა მდგომარეობაში იყო. იგი გათხოვების შემდეგ სახლიდან მიდიოდა და სხვა გვარის გამრავლებას უზრუნველყოფდა. ზოგჯერ, გვარის ინტერესებზე მაღლა სამართლიანობის იდეა დგებოდა და ქალი მშობლის სრულუფლებიანი მემკვიდრე ხდებოდა.<sup>13</sup>

მემკვიდრეობის განაწილება ვაჟიშვილებს შორისაც კი არ ხდებოდა თანაბრად. ვინაიდან, დაწესებული იყო „საუფროსო“, „სასაშუალო“ და „საუმცროსო“. თითოეული მათგანი წარმოადგენდა დამატებით წილს სამემკვიდრეო ქონებაში უფროსი საშუალო და უმცროსი ძმისათვის. ასევე, იმ დროისათვის განსაზღვრული იყო ნაშვილებ და უკანონოდ შობილთა სამართლებრივი სტატუსი. ეს უკანასკნელნი უაღრესად შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ.<sup>14</sup>

ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ჩვენამდე მოღწეული არაერთი ისტორიული საბუთი. მათ შორის აღსანიშნავია დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, რომელიც 1123 წელს არის შედგენილი. ამ ანდერძის მიხედვით, დავით მეფე შიომღვიმის მონასტერს უმტკიცებს მამულებს და განსაზღვრავს მის იმუნიტეტს. მნიშვნელოვანია, კახა თორელის მიერ 1252 წელს შედგენილი შეწირულობის სიგელიც, რომლის თანახმად, მან სოფელი ხოვლე იყიდა და შესწირა რკონის მონასტერს. როგორც თავად წერს: „შესაწირავი იმიტომ ვიყიდე, რომ კანონით მემკვიდრეებისაგან შეუდავებელი იყოსო“<sup>15</sup>. მაშასადამე, მსგავსი სიგელ-გუჯრების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მამულების შეწირვა-ანდერძება წესად ჰქონდა ქართულ საზოგადოებას და ანდერძისმიერ მემკვიდრეთა წრეს შეადგენდნენ არა მარტო ფიზიკური, არამედ, იურიდიული პირებიც.

<sup>12</sup> ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობის სამართალი, 2003., გვ. 121

<sup>13</sup> იგივე. გვ. 123-124

<sup>14</sup> ი. გველესიანი . ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით, მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები. I. თბ., 2011, გვ. 169-170

<sup>15</sup> ივ. სურგულაძე.. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 2002, გვ. 50.

ფაქტობრივად, პირველ ცნობებს ანდერძისმიერი მემკვიდრეობისა და მისი სუბიექტების შესახებ არაპირდაპირი (არაიურიდიული) წყაროებიდან ვგებულობთ. რაც შეეხება ქართულ სამართლს, როგორც ჩვენს ხელთ არსებული განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების საკანონმდებლო ძეგლების<sup>16</sup> შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოში უპირატესობა კანონისმიერ მემკვიდრეობას ენიჭებოდა. შესაბამისად, კარგად იყო გამოკვეთილი კანონისმიერ მემკვიდრეთა წრე და ქონების დამკვიდრების აღნიშნული წესი. რაც შეეხება ანდერძისმიერ მემკვიდრეობას, ამ მხრივ მწირ, მაგრამ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის „ვახტანგ VI-ის სამართალი“ და „ჩვეულებითი სჯული“.<sup>17</sup>

მნიშვნელოვანია უპატრონო ანუ ბეითალმანი ქონების მემკვიდრეობის საკითხი. ბეითალმანი ისეთი ქონება იყო, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავდა ან პატრონი არ გამოუჩნდებოდა. ასეთ ქონებას ისაკუთრებდა მეფე, ბატონი ან ეკლესია, რომლებიც თავიანთი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ ქონებას.

### 1.3 მემკვიდრეობა საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

XX ს. 20-იანი წლებიდან საქართველოში მოქმედებას იწყებს საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა. შესაბამისად, მემკვიდრეობის სამართალი იღებს ცალკეული ნორმებისაგან შემდგარი მკაცრად განსაზღვრული სისტემის სახეს. ანდერძისმიერ მემკვიდრეობად სახელდებიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები<sup>18</sup>. ანდერძის თავისუფლებას კი ზღუდავს „სავალდებულო წილის“ არსებობა. შედეგად გამიყოფა მემკვიდრეთა „ახალი“ წრე ე.წ. „სავალდებულო მემკვიდრეები“ (მამკვიდრებლის არასრულწლოვანი შვილები (მათ შორის ნაშვილებიც), მეუღლე, მშობლები (მშვილებლები) და გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირები). ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ისინი იღებენ ქონების არანაკლებ 2/3-ისა იმ წილიდან, რომელიც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის წესით უნდა რგებოდა.

მამასადაამე, ამ თავში ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა. სავარაუდოდ, ანდერძის ზეპირი ფორმა ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებობდა.

<sup>16</sup> იგულისხმება: გიორგი V-ის „ძეგლის დება“, „სამართალი ბექასი და აღბუღასი“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებული“, „სამოქალაქოს ჰსჯულვილება“ და დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“

<sup>17</sup> ქართული სამართლის ძეგლები. თბ. 2000, გვ. 541.

<sup>18</sup> სახელმწიფო ან ცალკეული სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მონდერძის ნების წერილობით დაფიქსირება კი მხოლოდ და მხოლოდ დამწერლობის წარმოშობის შემდეგ გახდა შესაძლებელი. თუმცა, უდავოა ის გარემოებაც, რომ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა დასაბამიდანვე ასახავდა ანდერძის თავისუფლების პრინციპს. რაც, საბოლოო ჯამში, თითოეული ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულებასთან ასოცირდებოდა.

### თავი III. ანდერძისმიერი მემკვიდრეობა თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობით

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებად მემკვიდრეობის უფლებას აღიარებს<sup>19</sup>. ამ უფლების პრაქტიკული განხორციელების კერძო სამართლებრივ მექანიზმს განამტკიცებს მემკვიდრეობის სამართალი „იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც მოწესრიგებულია გარდაცვლილი პირის ქონების იურიდიული ბედი“<sup>20</sup>.

მემკვიდრეობის სამართალი არ არის განყენებულად არსებული ზოგადსამართლებრივი ინსტიტუტი. ის მჭიდრო კავშირშია სამართლის სხვა დარგებთან. ამასთანავე, მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს მოცემული დროის მონაკვეთში მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება, ეკონომიკური განვითარების დონე და საზოგადოებრივი ცხოვრების წესი.

საბჭოთა კანონმდებლობამ ასახვა ჰპოვა თანამედროვე ქართულ სამართალშიც. სადღეისოდ, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად განკარგოს საკუთარი ქონების ბედი. თუმცა, ამავდროულად, იგი ვალდებულია „სავალდებულო წილით“ უზრუნველყოს მეუღლე, მშობლები და შვილები (იგულისხმება, როგორც ღვიძლი შვილები, ასევე ნაშვილები). „სავალდებულო მემკვიდრეთა“ ჯგუფთან ერთად შესაძლებელი ხდება „ძირითად“ და „სათადარიგო მემკვიდრეთა“ ჯგუფების გამოყოფაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლის თანახმად:

„1. მოანდერძეს უფლება აქვს დაასახელოს ანდერძში სხვა მემკვიდრე (სათადარიგო მემკვიდრე) იმ შემთხვევისათვის, თუ მის მიერ დანიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, სამკვიდროს არ მიიღებს ან მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევა...“<sup>21</sup> „სათადარიგო მემკვიდრე“ შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

დღესდღეისობით, საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს მემკვიდრეობის ორ ძირითად სახეს: „კანონისმიერ მემკვიდრეობას“ და „ანდერძისმიერ მემკვიდრეობას“. ჩვენი თემის საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, განვიხილავთ ანდერძისმიერ მემკვიდრეობისას, როდესაც სამკვიდროს ეუფლებიან ანდერძში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირები.

<sup>19</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. სამართალი. თბ. 2000, გვ. 4.

<sup>20</sup> ზოიძე ბ.. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. უფლება. თბ. 2003, გვ. 15

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1370

### 3.1 ანდერძის ფორმა, დადების წესი და სახეები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის თანახმად:„ 1. ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე; 2. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ“.

კოდექსის მიხედვით დასაშვებია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა ორი მოწმის თანდასწრებით. ასევე დასაშვებია ანდერძის ჩაწერისას გამოყენებულ იქნეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებები. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

რაც შეეხება ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირებს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან: ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტალისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, თუ მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს; ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება; გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება; დ) სამხედრო ნაწილის, სენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური, თუ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია; ე) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებებიც: თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოაწერს ხელს ანდერძს, შესაძლებელია მისი თხოვნით ხელი მოაწეროს სხვა პირმა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა.

ასევე, იმ შემთხვევაში თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუ-მუნჯი წერა კითხვის უცოდინარია, საანდერძო განკარგულება მან უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის ვითარება და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას. ასევე, თუ მოანდერძე ბრმაა

ან მას არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც მას უნდა წაეკითხოს. ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.<sup>22</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ანდერძის მოწმეები არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვნები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალი და აღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები.

რაც შეეხება ანდერძის საიდუმლოებას - ნოტარიუსს, სხვა პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, ასევე პირებს რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები, რომლებიც სეხება ანდერძის შინაარსს, მის შედგენას, შეცვლას ან გაუქმებას.

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ანდერძი დალუქული კონვერტით გადასცეს ნოტარიუსს სამი მოწმის თანდასწრებით, რაც დადასტურდება კონვერტზე ხელის მოწერით.

ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოიცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებებით, ოღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ, მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით ანდერძზე სათანადო წარწერის გაკეთებით, მოწმეთა სახელის, გვარისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.<sup>23</sup>

მოანდერძის სურვილით მოწმეებმა ანდერძი უნდა დაადასტურონ ისე, რომ არ გაეცნონ მის შინაარსს (დახურული ანდერძი). ამ შემთხვევაში მოწმეები უნდა ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. დახურული ანდერძის დადასტურებისას მოწმეებმა უნდა მიუთითონ, რომ ანდერძი შედგენილ იქნა პირადად მოანდერძის მიერ მათი თანდასწრებით, მაგრამ ისინი არ გასცნობიან მის შინაარსს.

ანდერძში მითითებული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი. თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ანდერძის შედგენის, შეცვლის ან

---

<sup>22</sup> სსკ-ის 1361-ე მუხლი

<sup>23</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 413

გაქუმების, ასევე რამდენიმე ანდერძის არსებობისას მოანდერძის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული ექვი.

ანდერძის შინაარსის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ნოტარიუსი ნიშნავს დღეს და გააცნობს ანდერძის შინაარსს დაინტერესებულ პირებს, რის თაობაზეც უნდა შედგეს სათანადო ოქმი. თუ კონვერტი, რომელშიც ანდერძია მოთავსებული, დალუქული იყო, უნდა აღინიშნოს ლუქის მთლიანობის შესახებ<sup>24</sup>.

### 3.2 ანდერძის შეცვლა, მოშლა და ბათილობა

ანდერძით მემკვიდრე სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ხდება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ. მანამდე, სამკვიდრო ქონების მიმართ შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს მხოლოდ მამკვიდრებელი. რადგან ამ უფლებათა სამომავლო განკარგვის ყველაზე ეფექტური ფორმა ანდერძია, ყოველთვის შეიძლება მისი შეცვლა ან მოშლა, ანუ გაუქმება მოანდერძის ნების გათვალისწინებით.

სამოქალაქო კოდექსის 1398–ე მუხლში მოცემულია ანდერძის შეცვლისა და მოშლის საშუალებები. ანდერძის შეცვლა შესაძლებელია ახალი ანდერძის შედგენით. მოანდერძეს ახალ ანდერძში შეუძლია მიუთითოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს ძველ ანდერძში. თუ ახალ ანდერძში ცვლილებების შესახებ არაფერია აღნიშნული, მაშინ გაუქმებულად ჩაითვლება წინა ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება; ახალი ანდერძი თუ მთლიანად ეწინააღმდეგება ძველს, იგულისხმება, რომ ძველი ანდერძი მთლიანადაა გაუქმებული. ასევე შესაძლებელია მოანდერძემ მიუთითოს ახალ ანდერძში, რომ ძველს მთლიანად აუქმებს. ანდერძის გაუქმება ახალი ანდერძის შედგენის გარდა, შესაძლებელია სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით. სანოტარო ორგანოში განცხადება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როცა გასაუქმებელი ანდერძი დადასტურებულია სანოტარო წესით. განცხადების შეტანა შეიძლება ნებისმიერ სანოტარო ბიუროში, რომელიც ვალდებულია იგი გაუფზავნოს ანდერძის დამადასტურებელ სანოტარო ორგანოს. ადრინდელი ანდერძის ეგზემპლარების მოსპობა ხდება მოანდერძისა და ნოტარიუსის მიერ. თუ მხოლოდ მოანდერძესთან არსებული ეგზემპლარი მოისპო ან მასში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი გადამლით ან შესაბამისი მინაწერების

---

<sup>24</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 413

გაკეთებით, ეს არ გამოიწვევს ანდერძის შეცვლას ან მოშლას. ანდერძის ეგზემპლარებიდან იურიდიული ძალა ნოტარიუსიდან შენახულ ანდერძს გააჩნია. ასეთი ეგზემპლარის მოსპობას ნოტარიუსი ახდენს მოანდერძის განკარგულების საფუძველზე.<sup>25</sup>

ანდერძი, როლმელიც გაუქმდა შემდგომში შედგენილი ანდერძით, არ შეიძლება აღდგენილი იქნეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო გვიან შედგენილი ანდერძი შემდგომში გაუქმდება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით. ჩვეულებრივ, ერთხელ გაუქმებული ანდერძის აღდგენა ავტომატიურად არ ხდება. ეს შესაძლებელია იმავე შინაარსის ახალი ანდერძის შედგენის გზით, მაგრამ, როცა ახალი აუქმებს ძველ ანდერძს, ახალი ანდერძი კი უქმდება მოანდერძის განცხადების საფუძველზე ისე, რომ მესამე ანდერძი არ არის შედგენილი, ასეთ შემთხვევაში პირველი ანდერძის აღდგენა დაუშვებელია<sup>26</sup>. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა თავისი ქონება პირველად მეუღლეს უანდერძა, შემდგომ მასზე გაბრაზებულმა იგივე ქონება ანდერძით საყვარელს მიაკუთვნა, მაგრამ მეუღლესთან შერიგებისას სანოტარო ორგანოს მიმართა მეორე ანდერძის გაუქმების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში უკანასკნელი ანდერძი გაუქმდება. მამკვიდრებლის მეუღლეს უფლება არა აქვს მოითხოვოს პირველი ანდერძის აღდგენა და მისი აღიარება ანდერძით მემკვიდრედ.

მამკვიდრებლის მიერ რამდენიმე ანდერძის შედგენის შემთხვევაში, მთავარია იმის გარკვევა, თუ რამდენად ეწინააღმდეგებიან ისინი ერთმანეთს და როდისაა თითოეული მათგანი შედგენილი. ამის მიხედვით გადაწყდება ანდერძის ნამდვილობა და იურიდიული ძალის საკითხი. მაგრამ, თუ ანდერძები არ ეწინააღმდეგებიან და მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს, მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს ძალას. იგულისხმება, რომ მოანდერძის ადრინდელი განკარგულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ანდერძით. სავსებით შესაძლებელია, როცა მოანდერძემ ქონების ერთი ნაწილი უანდერძა ერთ მემკვიდრეს, ხოლო ქონების მეორე ნაწილი ახალი ანდერძით გაითვალისწინა მეორე მემკვიდრისათვის. ასეთ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ძალაშია ორივე ანდერძი. ან კიდევ, თუ მოანდერძის ძველი განკარგულებებიდან ახალი ანდერძით ყველა ანდერძი კი არ უქმდება, არამედ რამდენიმე, მაშინ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ყველა ის განკარგულება, რომელსაც ახალი ანდერძი არ შეხება. მაგალითად, თუ ანდერძით საცხოვრებელი სახლი და ავეჯი მიეკუთვნა მეუღლეს, ხოლო აგარაკი და მანქანა – ქალიშვილს, ხოლო ახალი ანდერძით მეუღლეს ეანდერძა სახლი, ავეჯის ნაწილი და ავტომანქანა, ქალიშვილს კი ავტომანქანის ნაცვლად – როიალი, ასეთ შემთხვევაში მოანდერძის ქალიშვილი იყო და კვლავაც რჩება აგარაკზე

<sup>25</sup> გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67;

<sup>26</sup> ახვლედიანი ზ., – მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 2007, გვ. 97-98

მემკვიდრეობის მოთხოვნის უფლების სუბიექტად, რადგან სამკვიდრო ქონების ამ ნაწილს მონადერძის ახალი განკარგულება არ შეეხება<sup>27</sup>.

ანდერძის სამართლებრივი ძალის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ფორმის საკითხსაც, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 1357-ე მუხლითაა წარმოდგენილი. თუ მამკვიდრებელმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს მიენიჭება. მისი უპირატესობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ ამავე ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. შინაურული ანდერძის შესაცვლელად ან მოსაშლელად სავალდებულო არ არის სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი. ეს შეიძლება ახალი შინაურული ანდერძით მოხდეს. ანდერძთა კონკურენცია არ დაიშვება მაშინ, როცა მამკვიდრებელმა ქონების ერთი ნაწილი გაითვალისწინა სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძით, ხოლო მეორე ნაწილი კი მოგვიანებით სხვა ფორმის ანდერძით განაწილა სხვა მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ორივე ანდერძი ძალაშია, რადგან შემდგომი ანდერძი არ ცვლის და არც აუქმებს წინა ანდერძს. იგი მხოლოდ ავსებს ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძს. ანდერძებს შორის უპირატესობის განსაზღვრა მაშინ დგება დღის წესრიგში, როცა ისინი სხვადასხვანაირად წყვეტენ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის განაწილების საკითხს.<sup>28</sup>

იმისათვის, რომ ანდერძმა სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს, ამისათვის კანონი ადგენს განსაზღვრულ წინაპირობებს; უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნა, სახეზე უნდა იყოს სამკვიდრო ქონება და მემკვიდრემ უნდა მიიღოს თავისი წილი. თუ რომელიმე პირობა არ არსებობს, მაშინ ანდერძი ცხადდება ძალადაკარგულად.

ანდერძს ძალა არ ექნება, თუ: 1. პირი, რომლის სასარგებლოდაც შედგენილი იყო ეს ანდერძი გარდაიცვალა მონადერძეზე ადრე; 2. ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მონადერძის სიცოცხლეში ან მონადერძემ გაასხვისა იგი; 3. ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.<sup>29</sup> სამივე შემთხვევაში გამორიცხულია სამემკვიდრო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, რადგან პირველ და მესამე შემთხვევაში სახეზე არ არის სუბიექტი, მეორე შემთხვევაში კი – ობიექტი. ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადება სასამართლოს პრეროგატივაა.

<sup>27</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 2007, გვ. 99

<sup>28</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 2011, გვ. 72

<sup>29</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 416

ანდერძი გარიგების ნაირსახეობაა, მის მიმართ გამოიყენება ის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გარიგებას ეხება, ანდერძის ნამდვილობა და ბათილობა განპირობებულია იმ გარემოებებით, რომლებიც გარიგებისთვისაა დამახასიათებელი. ეს გარიგებები კი ეხება გარიგების მონაწილეთა სამართალსუბიექტობას, მათ მიერ შინაგანი ნების გარეგან გამოხატულებას, კანონისადმი გარიგების მიზნების შესაბამისობასა და გარიგების ფორმას. ამ გარემოებათა შინაარსის გაუთვალისწინებლობა ანდერძის გაბათილების საფუძველია.

კანონი ითვალისწინებს ცალკეული საანდერძო განკარგულებების ბათილობას. მათ რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ის საანდერძო განკარგულება, რომლის საფუძველზედაც ხდება სამკვიდროში არარსებულ ნივთზე მემკვიდრე მოწვევა. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია, რომ შვილს სხვა ნივთებთან ერთად ეანდერძა კომპიუტერი, მაგრამ სამკვიდრო ქონებაში იგი არ აღმოჩნდა იმის გამო, რომ მამკვიდრებელმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო შეძენა, მაშინ საანდერძო განკარგულება კომპიუტერის შესახებ ბათილი იქნება. სხვა, რეალურად არსებული ნივთების მიმართ, განკარგულება ძალაშია. საანდერძო განკარგულება ბათილია მაშინაც, როცა განკარგულებით ნაანდერძები ფულადი თანხა არ აღმოჩნდება სამკვიდრო ქონებაში. მაგალითად, პირს ეანდერძა საცხოვრებელი სახლი და ათასი ლარი, მაგრამ სამკვიდროს გახსნისას მასში არ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს ანდერძით გათვალისწინებული სხვა ქონება – საცხოვრებელი სახლი. ფულის მოთხოვნის უფლება სხვა ქონებიდან, თუნდაც იგი ანდერძის გარეთ იყოს დარჩენილი, მას არ გააჩნია.<sup>30</sup>

ბათილია საანდერძო განკარგულება იმის თაობაზე, რომ მემკვიდრე სამკვიდრო ქონებას მიიღებს განსაზღვრული დროით, მაგალითად, აგარაკს – ორი საკურორტო სეზონით ანდა განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, მაგალითად, ორი წლით გაქირავებული აგარაკის დაცლის შემდეგ. ასევე გაბათილდება საანდერძო განკარგულება, რომლითაც განსაზღვრულია ის, თუ ვუსზე უნდა გადავიდეს სამკვიდრო ქონება მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა თავისი სახლი უანდერძა მეუღლეს და იქვე მიუთითა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სახლი უნდა გადავიდეს მეუღლის ძმაზე, ასეთი განკარგულება ცოლის ძმაზე სახლის მემკვიდრეობით გადასვლის თაობაზე უნდა გაბათილდეს. მართალია, სამემკვიდრეო კანონმდებლობით შესაძლებელია მემკვიდრის მემკვიდრე დანიშნოს მამკვიდრებელმა, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, სამკვიდროს მიღებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი ან სასამართლომ

<sup>30</sup> შენგელია რ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 122

იძულებით ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება, ასეთ შემთხვევაში სათადარიგო მემკვიდრე ძირითადი მემკვიდრის ადგილს იჭერს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობამდე, ამიტომ საანდერძო განკარგულება სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნის შესახებ კანონიერია და მისი გაბათილება არ შეიძლება<sup>31</sup>

ისეთი საანდერძო განკარგულება, რომლის შესრულებაც მემკვიდრეს არ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს ცნობილი. აქ ძირითადად მხედველობაშია საანდერძო დანაკისრის შესრულების საკითხი; მაგალითად, მემკვიდრეს ავადმყოფობის გამო არ შეუძლია ეკლესიის გუმბათის პირადად მოხატვა. საანდერძო დანაკისრი კი ამას ითვალისწინებს. საანდერძო განკარგულების ბათილობა მისი შესრულების შეუძლებლობის გამო, შესაძლებელია მხოლოდ მემკვიდრის სარჩელის საფუძველზე. ერთი ანდერძი შეიძლება რამდენიმე განკარგულებას შეიცავდეს და ზოგი მათგანი ერთმანეთთან არც იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში მათი ნამდვილობის საკითხი ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს. თუ რამდენიმე საანდერძო განკარგულებიდან ერთ-ერთი ბათილია ან ძალა დაკარგა, მაშინ დანარჩენი საანდერძო განკარგულებები ძალაში რჩება თუ მამკვიდრებელს სხვა განკარგულება არ დაუტოვებია. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი საანდერძო განკარგულების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი ანდერძის გაბათილებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მამკვიდრებელს ახალი განკარგულებით, ანდერძით, უკვე გათვალისწინებულ განკარგულებათა ნამდვილობის საკითხი ეჭვქვეშ ხომ არ დაუყენებია.

ანდერძის ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემკვიდრეს თუ ამ ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული, შეუძლია მიიღოს სამკვიდრო ქონება საერთო საფუძველებით. ანდერძის გაბათილებამ გააუქმა მემკვიდრეობის ჩამორთმევის უფლება, რის გამოც მემკვიდრეს მიეცა შესაძლებლობა, შეუზღუდავად მიეღო მონაწილეობა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, თუ მოანდერძემ თავის შვილს ჩამოართვა მემკვიდრეობა და ამის შესახებ ანდერძშიც აღნიშნა ან იგი საერთოდ არ მოიხსენია ანდერძში, მისი გაბათილების შემთხვევაში შვილს უფლება აქვს კანონით მემკვიდრე იყოს და იქიდან მიიღოს სამკვიდრო ქონების კუთვნილი ნაწილი.<sup>32</sup>

ანდერძის ნამდვილობა შეიძლება სადაოდ გახდეს და, აქედან გამომდინარე, სასამართლოში სარჩელი შეიტანონ კანონით მემკვიდრეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. სარჩელის

<sup>31</sup> შენგელია რ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 130

<sup>32</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 413

საფუძველი უნდა იყოს კონკრეტული გარემოება, რომელიც კანონის შესაბამისად იწვევს გარიგების ბათილობას. მოსარჩელეთა წრე განსაზღვრული არ არის. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან ორი წლის განმავლობაში. ხანდაზმულობის ეს სპეციალური ვადა არ ვრცელდება იმ მესაკუთრის სარჩელზე, რომლის ქონება მამკვიდრებელმა არასწორად უანდერძა მემკვიდრეს. მაგალითად, მამკვიდრებელმა სამკვიდრო მასაში შეცდომით შეიტანა ადრე გასხვისებული ქონება და იგი უანდერძა თავის მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების მიმართ საკუთრების უფლების აღიარების შესახებ სარჩელის სასამართლოში წარდგენა განახორციელოს არა ორწლიან შემცირებულ ვადაში, არამედ უფრო ხანგრძლივ, ხანდაზმულობის საერთო ვადაში.

ანდერძის შეცვლა და გაუქმება ცნობილი იყო ძველ ქართულ სამართალშიც. ბექას სამართლის წიგნში მითითებულია, რომ მოანდერძეს თავის სიცოცხლეში ხელეწიფება მისი შეცვლაც და გაუქმებაც. პრაქტიკაც ამას ადასტურებს.<sup>33</sup>

### 3.3 ანდერძის აღსრულება

ანდერძში მითითების არარსებობის შემთხვევაში მისი აღსრულება ევალებათ ანდერძით მემკვიდრეებს. მათ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ანდერძის აღსრულება მიანდონ ერთ-ერთ მემკვიდრეს ან სხვა პირს<sup>34</sup>.

საანდერძო განკარგულებათა ზუსტად შესრულების მიზნით მოანდერძეს შეუძლია ანდერძით დანიშნოს ანდერძის ერთი ან რამდენიმე აღმსრულებელი როგორც ანდერძით მემკვიდრეთა წრიდან, ისე სხვა პირიც, რომელიც მემკვიდრე არ არის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ანდერძის აღმსრულებლის თანხმობა, რაც მან უნდა გამოხატოს წარწერით თვით ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში.

<sup>33</sup> გველესიანი ი. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით, მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები. I. თბილისი, 2011, გვ. 169-170;

<sup>34</sup> კვინიკაძე რ., მემკვიდრეობა კანონით და ანდერძით, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა / „აღმაშენებელი“ : პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი / თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. - თბილისი, 2010. გვ. 95-98.

ანდერძის აღმსრულებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას მოანდერძის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა გააფრთხილოს ანდერძით მემკვიდრეები.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა დაავალოს მესამე პირს, რომელმაც სამკვიდროს გახსნისას დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი და შეატყობინოს ამის შესახებ მემკვიდრეებს. მას შეუძლია უარი თქვას ამ დავალების შესრულებაზე, რაზედაც ასევე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მემკვიდრეებს.

ანდერძის აღმსრულებელს შეიძლება დაეკისროს ანდერძის მთლიანად ან მისი ცალკეული განკარგულებების აღსრულება.

ანდერძის აღმსრულებელი მოვალეა სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე შეუდგეს სამკვიდროს დაცვასა და მართვას; ის უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც აუცილებელია ანდერძის აღსრულებისათვის. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მემკვიდრეები კარგავენ სამკვიდროს მართვის უფლებას.

სამკვიდროს დაცვა და მართვა რამდენიმე აღმსრულებლის მიერ თუ ანდერძის აღმსრულებელი რამდენიმეა, ერთპიროვნული მოქმედება დაიშვება მხოლოდ სამკვიდროს დაცვის მიზნით, სხვა შემთხვევებში საჭიროა მათ შორის შეთანხმება.

ანდერძის აღსრულების შემდეგ ანდერძის აღმსრულებელი მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანდერძის აღმსრულებელი ასრულებს თავის ფუნქციებს ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე.

ანდერძის აღმსრულებლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისას დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ანდერძის აღმსრულებლის გადაყენების მოთხოვნით.

თუ ანდერძის აღმსრულებელი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გადაუხვევს ანდერძით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან და ამით ზიანს მიაყენებს მემკვიდრეებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს ამ ზიანისათვის<sup>35</sup>.

---

<sup>35</sup> კვინიკაძე რ., მემკვიდრეობა კანონით და ანდერძით, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა / „აღმაშენებელი“ : პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი / თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. თბ., 2010. გვ.95-98.

### 3.4 სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.<sup>36</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1332-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროში არ შედის მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები, ან ჩანაწერები, ოჯახური მატრიანე, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ეს საგნები მამკვიდრებელის უფლებამონაცვლეს გადაეცემა არა მემკვიდრეობის საფუძველზე, არამედ საკუთრების უფლებით, დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. მაგალითად, ჩვეულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ასეთი ქონების გადაცემა ოჯახის იმ წევრისთვის, რომელიც მამკვიდრებელთან ცხოვრობდა მის გარდაცვალებამდე, უფროსი ან უმცროსი შვილისთვის ან მეუღლესთვის და ა.შ არ უნდა მოხდეს მათი დანაწილება ცალკეულ მამკვიდრებს შორის, თუ ამით ისინი თავის დანიშნულებას დაკარგავს. აღნიშნული ქონების მიღებაზე პრეტენზია შეუძლია ქონდეს იმ მემკვიდრესაც რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე.<sup>37</sup>

სამკვიდროში არ შედის აგრეთვე ის უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძეები. ამ შემთხვევაზე კანონი ყურადღებას ამახვილებს, რომ პრაქტიკაში სადავო ხდება იმ ქონების იურიდიული ბედი, რომელიც ნაანდერძე ქონებას ახლავს და ფაქტობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია მამკვიდრებლის კუთვნილი ერთ ჰექტარ მიწაზე, ბუნებრივია მის მომიჯნავედ ანდერძის შედგენის შემდეგ შეძენილ მეორე ჰექტარზე არ უნდა გავრცელდეს სამკვიდროს ქონების სტატუსი. ასეთი

<sup>36</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 467

<sup>37</sup> კომენტარი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის. *წიგნი მეხუთე*. გვ.377, თბ.2000.

ქონება სამკვიდროში მხოლოდ მაშინ ჩაირთვება,თუ ამის თაობაზე მემკვიდრეების ახალი განკარგულება არსებობს.<sup>38</sup>

მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სამკვიდრო.იგი არის იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა,რომელიც სამკვიდროს გარდაცვალების შემდეგ გადადის მემკვიდრეზე.თუ არ არის სამკვიდრო არ იქნება მემკვიდრეობა.სამკვიდრო ქონების ფარგლების დასადგენად მიზანშეწონილია რმდენიმე თავისებურებების გათვალისწინება:

ა) სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები,რომელთა მატარებელი სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი.თუ უფლება-მოვალეობა მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად წარმოიშობა,მათი მემკვიდრეობით გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება.ასეთი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით კი არ გადადის,არამედ ახლად წარმოიშობა სულ სხვა საფუძვლით.მაგალითად,დაზღვეული პირის გარდაცვალების შემტხვევაში,პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში თუ მითითებული არ არის სარგებლის მიმღებ სხვა პირზე,სადაზღვეო თანხა გადადის მემკვიდრეებზე.ასეთ შემტხვევაში სამემკვიდრეო უფლება მონაცვლეობას არა აქვს ადგილი,რადგან მემკვიდრემ მიიღო არა ის უფლება,რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიცოცხლეში,არამედ,ის,რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა.ე.ი. მემკვიდრემ მიიღო ის უფლება,რომელიც თვით მამკვიდრებელს არ გააჩნდა

ბ) ზოგიერთი უფლება-მოვალეობა არ შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს სხვა პირებზე თავისი ბუნების გამო ან კანონი არ მიიჩნევს შესაძლებლობად მათ გადასვლას მემკვიდრეზე.ასეთია,მაგალითად,ავტორობის უფლება,ან სამსახურში მიღებული ხელფასი,რომელიც მამკვიდრებლის ოჯახს უნდა გადაეცეს.

გ)მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მარტო ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობები,არამედ არაქონებრივი ხასიათითაც.მაგალითად,შესაძლებელია მემკვიდრეობით მიღებული აქციის საფუძველზე პირმა მიიღოს არა მარტო დივიდენდი,არამედ სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებაც.<sup>39</sup>

აქდან გამომდინარე,ვასკვნიტ,რომ სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის სიცოცხლეში დაგროვებული ქონებრივი უფლება.

სამკვიდროს მიღების,ან უარის თქმის უფლება მემკვიდრეს ენიჭება მისი ნების გარეშე,ძირითადად,მამკვიდრებლის გარდაცვალების საფუძველზე.ეს უფლება მემკვიდრეს აძლევს

<sup>38</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია. *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი, 2007. გვ 33

<sup>39</sup> ლ.ჭანტურია, თ. ნინიძე. *მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი(მესამე გამოცემა)*. თბილისი, 2002.

მხოლოდ ალტერნატიულ შესაძლებლობას, მიიღოს ან არ მიიღოს მემკვიდრეობა და სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტუ გახდა. იგი ჯერ კიდევ არ ითვლება მამკვიდრებლის უფლება მონაცვლედ. იმისთვის რომ გახდეს მამკვიდრებლის უფლებების და მოვალეობების მატარებელი, მან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა. სამკვიდროს მიღება ნიშნავს მემკვიდრეს მოწოდებული პირის ნების გამოხატვას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის შესახებ. ამ მომენტიდან მემკვიდრე ითვლება სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, მამკვიდრებლის ვალდებულებების კრედიტორად და მოვალედ. სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვანი სუბიექტი ხდება.<sup>40</sup>

სამკვიდროს მიღება შეუძლია ქმედუნარიან პირს. ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძლება მიიღოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

რაც შეეხება სამკვიდროს მიღების ვადას: სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. თუ სამკვიდროს მიღების უფლება იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა სხვა მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში, ხოლო, თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, - გაგრძელებულ იქნეს სამ თვემდე.

მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუდგება, უფლება არა აქვს განკარგოს სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე, გარდა ხარჯებისა მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისათვის, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, ხელფასის გასტუმრებისათვის და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის. თუ კანონით მემკვიდრე, რომელმაც არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, შეუდგა სამკვიდროს ფლობას, ხოლო ანდერძით მემკვიდრემ არ იცოდა ანდერძის ბათილობის შესახებ, ან, თუ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებმა არ იცოდნენ სხვა უფრო ახლო კანონით მემკვიდრეების ან სხვა ანდერძის არსებობის შესახებ, მაშინ მათ დარჩებათ შემოსავალი, რაც სამკვიდროდან მიიღეს სარჩელის აღძვრამდე; მათ უფლება აქვთ აგრეთვე მოითხოვონ მთელი კაპიტალი, რაც სამკვიდროში დააბანდეს. თუ სამკვიდროში შემავალი ნივთები გაიყიდება დავის აღძვრამდე, მაშინ ნასყიდობა ნამდვილად ჩაითვლება და ძალაში დარჩება, ხოლო ნივთების გაყიდვით მიღებული თანხა გადაეცემა ნამდვილ მემკვიდრეს. თუ

---

<sup>40</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია. *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი, 2007. გვ 145

მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს.<sup>41</sup>

მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, მაგრამ არ დაელოდა სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას და სამკვიდრო ფლობას, ან მართვას შეუდგა, არ არის უფლება მოსილი განკარგოს სამკვიდრო ქონება სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე, ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. ამ წესიდან კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს. მემკვიდრეს შეუძლია გაიღოს ხარჯები მხოლოდ : მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისთვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისთვის; მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისთვის; ხელფასის გასტუმრებისა და სამკვიდრო ქონების დაცვა-მართვისთვის. ეს ხარჯები უნდა დაიფაროს სამკვიდროში შემავალი ფულადი სახსრებიდან. თუ სამკვიდროში ფული არ არის, მაშინ სხვა ქონებიდან. მიზეზობრივი დანიშნულების გარდა, ხარჯების გაღება შეიძლება სამკვიდრო ქონების შემცირების საფუძველი გახდეს. სამკვიდროს მიღება და უარის თქმაც მის მიღებაზე მემკვიდრის ნებელობითი აქტია. ასეთ შემთხვევებში ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება იმ უფლება-მოვალეობათა მიმართ, რომელთა პოტენციური მატარებელიც შეიძლება გახდეს. ამასთან, არის შემთხვევები, როცა სამკვიდროს მიღება შეუძლებელი ხდება მემკვიდრის ნებისგან დამოუკიდებლად. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვლება. რადგან მან ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, ეს უფლება გადავა მის მემკვიდრეებზე. მემკვიდრის გარდაცვალების გამო სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლას მის მემკვიდრეებზე, მემკვიდრეობითი ტრანსმისია ეწოდება, ხოლო იმ პირს რომელზეც მემკვიდრეობით გადადის სამკვიდროს მიღების უფლება-ტრანსმისარია.<sup>42</sup>

მემკვიდრეობითი ტრანსმისიით სამკვიდროს მიუღებლობის შედეგები: 1) სამკვიდროს მიუღებლობა მემკვიდრეობითი ტრანსმისიით არ ართმევს მემკვიდრეს შესაძლებლობას, მიიღოს ის სამკვიდრო, რომელიც უშუალოდ ეკუთვნოდა გარდაცვლილ მემკვიდრეს; 2) მემკვიდრეობითი

<sup>41</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000, გვ. 472-473

<sup>42</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია. *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი, 2007. გვ 153

ტრანსმისიით ქონების მიღებაზე უარის თქმისას ქონება გადადის იმ პირებზე, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ სამკვიდროს მისაღებად გარდაცვლილ მემკვიდრეებთან ერთად<sup>43</sup>.

### 3.5 საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ლეგატის ცნებას–, „მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე (საანდერძო დანაკისრი - ლეგატი).“

საანდერძო დანაკისრის საგანი შეიძლება იყოს დანაკისრის მიმღებისათვის (ლეგატარისათვის) სამკვიდროში შემავალი ქონებიდან ნივთების გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა სანივთო უფლებით, მისთვის ისეთი ქონების შექმნა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ა.შ.

მოანდერძეს უფლება აქვს დააკისროს მემკვიდრეს, რომელზედაც საცხოვრებელი სახლი, ბინა ან სხვა საცხოვრებელი სადგომი გადადის, სადგომით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამისდღეშიო სარგებლობის უფლების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე. საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების შემდგომი გადასვლისას სამისდღეშიო სარგებლობა ძალას ინარჩუნებს.

საცხოვრებელი სადგომით სამისდღეშიო სარგებლობის უფლების გაუსხვისებლობას რაც შეეხება:

- 1) საცხოვრებელი სადგომით სამისდღეშიო სარგებლობის უფლება გაუსხვისებელია და არ გადადის საანდერძო დანაკისრის მიმღების მემკვიდრეებზე;
- 2) საცხოვრებელი სადგომით სამისდღეშიო სარგებლობის უფლება არ წარმოადგენს ამ სადგომში საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრთა ცხოვრების საფუძველს, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი ნაანდერძები სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას შეხვდა. ხოლო თუ მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, ან მან მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა, მაშინ საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება

<sup>43</sup> კვინიკაძე რ., მემკვიდრეობა კანონით და ანდერძით, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა / „აღმაშენებელი“ : პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი/თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი, 2010. გვ.95-98.

გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც მისი წილი მიიღეს, - თუ ანდერძიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. იმ მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება შეწყდება,თუ შესრულება შეუძლებელია მისი მონაწილეობის გარეშე.<sup>44</sup>

თუ ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს, მაშინ იგი საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღები პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში სამკვიდროს შესაბამისი ნაწილი დარჩება იმ მემკვიდრეს,რომელსაც დაეკისრება დანაკისრის შესრულება. თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს იტყვის დანაკისრის მიღებაზე, მემკვიდრე,რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა,თავისუფლდება მისი შესრულების მოვალეობისაგან. საანდერძო დანაკისრის მიმღები თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე, მაშინ მისი მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, რომლებიც მის მაგივრად მიიღებენ დანაკისრს.

### 3.6 სავალდებულო წილი

ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია<sup>45</sup>.რომის სამართალში სამემკვიდრეო სამართალთან დაკავშირებული საკითხები კარგად არის განხილული გ.ლოჟანიძის წიგნში „რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი,სადაც აღნიშნულია რომ რომის სამართალი იცნობდა მემკვიდრეობით ქონების მიღების,როგორც ანდერძისმიერ გზას,ასევე უანდერძო ფორმას.თუმცა აღსანიშნავია,რომ მამკვიდრებელს არ შეეძლო უშუალოდ მისი მემკვიდრეების შვილის,მეუღლის და ა.შ უგულველყოფა.<sup>46</sup>შესაბამისად ვხვდებით რომ,რომის სამართალი ცნობდა ცნებას სავალდებულო წილის შესახებ.

<sup>44</sup> შენგელია რ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 141

<sup>45</sup> ზ.ახვლდენიანი,მემკვიდრეობის სამართალი,თბ.გამომც „იურისტის ბიბლიოთეკა“,2007,გვ 44

<sup>46</sup> გ.ლობჯანიძე , რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი.ქუთ.2009.გვ 112

მამკვიდრებელს ანუ გარდაცვლილი პირის შვილებს,მშობლებს და მეუღლეს,ანდერძის შინაარსის მიუხედავად,ეკუთვნით სავალდებულო წილი,მიუხედავად იმისა გათვალისწინებული ყავს თუ არა მოანდერძეს ეს პირები ანდერძში.<sup>47</sup>

პირის გარდაცვალების შემდეგ ქონების გაყოფის საკიტხით ხშირად ინტერესდებიან,მოქალაქეებს ხშირად აინტერესებთ რამდენად აქვთ უფლება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვოს სავალდებულო წილი.მამკვიდრებლის შვილებს,მშობლებსა და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი,რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი,რაც თითოეულმა თანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა,ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები მიიღებენ სავალდებულო წილს მამკვიდრებლის ქონებიდან.სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან,ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით,სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან იმ ქონების ჩათვლით,რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად.თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე,რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად,ანდერძი რომ არ ყოფილიყო,ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან. სავალდებულო წილში პირი,რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება,მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი,რა მამკვიდრებლისგან მიიღო მის სიცოცხლეში,იმაზე მითითებით,რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილში.პირს ,რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს და ამავე დროს საანდერძო დანაკისრის მიმღებიცაა,შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი,თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე.თუკი იგი საანდერძო დანაკისრზე უარს არ იტყვის,მაშინ ის კარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში.გათვალისწინებული ქონებიდან თუ ანდერძით გათვალისწინებული არ მთელი სამკვიდრო,მაშინ სავალდებულო წილი ,პირველ რიგში გამოიყოფა ანდერძით გათვალისწინებელი,ხოლოთუ ეს საკმარისი არ იქნება შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან.გაჩუქებული ნივთის ხარჯზე თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს,მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით,რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი,თუკი გაჩუქებული ნივთი შევა

<sup>47</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1371

სამკვიდროში საჩუქარი არ ჩაითვლება ანგარიშში , თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული.<sup>48</sup>

---

<sup>48</sup> <https://www.myadvokat.ge/ka/about/524/savaldebulo-wili>

## თავი IV. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შედარებით- სამართლებრივი ანალიზი

მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. ძირითადად ეს განპირობებულია კონკრეტული საფუძვლებით, რომელიც თან ახლავს სამართლის წარმოშობას, ნორმის განმარტებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ასპექტებით ერთმანეთისგან განსხვავდება რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსონური მემკვიდრეობითი სამართალი.

რუსი მეცნიერის ბლინკოვის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომანულ-გერმანულ და ანგლოსაქსონურ მემკვიდრეობით-სამართლებრივ სისტემებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას წარმოადგენს, როდესაც მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები გადადის უშუალოდ მემკვიდრეებზე, მაშინ, როდესაც ანგლოსაქსონური სამართლის სისტემაში მამკვიდრებლის ქონება ჯერ გადაეცემა მინდობილი საკუთრების სახით, განსაკუთრებულ პირს (ე.წ. მამკვიდრებლის პირად წარმომადგენელს), რომელიც ახორციელებს მემკვიდრეობის ლიკვიდაციის პროცედურას, რის შედეგადაც მემკვიდრეებს გადაეცემათ სამკვიდრო ქონების ის ნაწილი, რომელიც რჩება მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.<sup>49</sup> ხოლო, პრინციპულად განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს შორის მსგავსება მდგომარეობს ცალკეულ მემკვიდრეობით სამართლებრივ მექანიზმებში.<sup>50</sup>

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპე იცვლებოდა მემკვიდრეობის შინაარსიც. მასში, ერთის მხრივ, მეტ-ნაკლები სისრულით აისახებოდა მამკვიდრებლის ინდივიდუალური ნება, და მეორეს მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესი.<sup>51</sup> ორივე მათგანი გავლენას ახდენდა მემკვიდრეობის სახეებისა და ფორმების ჩამოყალიბებაზე.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას საჭიროა გაირკვეს, თუ ვინ არიან ანდერძის სუბიექტები ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლება ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით მოანდერძე ანუ სამკვიდროს დამტოვებელი უნდა ყოფილიყო 18 წლის. ქალის, როგორც

<sup>49</sup> Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики“, М., 2009, №4, Стр. 13

<sup>50</sup> იქვე. გვ. 13

<sup>51</sup> შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, გვ. 5

მოანდერძის ასაკი 12 წელი უნდა ყოფილიყო. მოანდერძისათვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის, გარდა გარკვეული ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. სულიერი ავადმყოფობა განიხილებოდა, როგორც მოანდერძის უფლებაუუნარობის შემზღუდავი ან გამომრიცხავი გარემოება.<sup>52</sup>

უმეტესი სახელმწიფოების მიერ ანდერძისმიერი მემკვიდრეობა განისაზღვრება კანონით, როგორც მოანდერძის ნების გამოხატულება, რომლის მიზანია სიკვდილის შემთხვევაში მისი ქონების განკარგვა, გამოხატული კანონით განსაზღვრული ფორმით. ნების თავისუფლება, რომელიც წარმოადგენს მის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს, უფლება აქვს მოანდერძეს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განკარგოს თავისი ქონება გარდაცვალების შემთხვევაში და გადასცეს იგი ნებისმიერ პირს.<sup>53</sup>

ამავდროულად, კონტინენტური ევროპის ქვეყნების მემკვიდრეობის შესახებ კანონი გამოიყენებს მოანდერძის მიერ მისი უახლოესი ნათესავებისა და ოჯახის წევრების მიერ მემკვიდრეობის თვითნებურად ჩამორთმევის თავიდან ასაცილებლად, რომელშიც შედიან მეუღლე, მშობლები და სხვა ახლო ნათესავები და ვინ უფლება აქვთ მოითხოვონ მემკვიდრეობის ნაწილი ანდერძის შემთხვევაში და მოითხოვონ მემკვიდრეობის წილის გადახდა, რაც მათ კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში დაეკისრებათ. სავალდებულო წილის ოდენობა დამოკიდებულია ნათესაობის ხარისხზე და მემკვიდრეების რაოდენობაზე. ამ შემთხვევაში უფასო წილი არის მემკვიდრეობით მიღებული ქონების ნაწილი, რომელიც აღემატება სავალდებულო წილის ზომას.<sup>54</sup>

ანდერძის ნამდვილობის პირობებია მოანდერძის ქმედუნარიანობა და მისი უნარი გააცნობიეროს თავისი მოქმედებების მნიშვნელობა და წარმართოს ისინი. შესაბამისად, ქმედუნარო პირების მიერ გაკეთებული ანდერძი ბათილად არის ცნობილი. ანდერძის ანდერძის უფლება ენიჭებათ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს უმრავლესობის ასაკს (როგორც წესი, 18 წლის, დიდ ბრიტანეთში - 21 წელი). არასრულწლოვნებს აქვთ ანდერძით ქმედუნარიანობა ემანსიპაციის ან სამხედრო სამსახურში შესვლის შედეგად.

ანდერძის ფორმა აუცილებელია მემკვიდრეობის სამართლის ყველა სამართლებრივ სისტემაში. ანდერძი განიხილება, როგორც ცალმხრივი გარიგება მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით. ანდერძი შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ფორმით: ხელნაწერი ანდერძები (ე.ი. სრულად დაწერილი, დათარიღებული

<sup>52</sup> მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამ. „მერიდიანი“, თბ. 2003, გვ. 389

<sup>53</sup> Тарасевич М. В., Правовое регулирование наследования по завещанию в праве зарубежных стран, Челябинский Государственный университет, 2020, гв. 37

<sup>54</sup> Зенин И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2013, гв. 29

და ხელმოწერილი მოანდერძის ხელით), საზოგადოებრივი ანდერძი (შედგენილია ნოტარიუსის მონაწილეობით ან სახელმწიფოს მიერ სპეციალურად უფლებამოსილი სხვა პირებით და მოწმეების თანდასწრებით), მოწმეების მიერ დამოწმებული ანდერძი. ამავდროულად, კანონმდებლობა იძლევა უფლებას აირჩიოს ანდერძის ფორმა პირის გარდაცვალების შემთხვევაში. ამავდროულად, მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს ე.წ. საიდუმლო ანდერძი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თავიდან იქნას აცილებული მოანდერძის უკანასკნელი ნების გამოვლენა ნოტარიუსების, მოწმეებისა და ანდერძის შედგენაში მონაწილე სხვა პირების მიერ და ნოტარიუსს გადაეცემა დალუქული ფორმით.<sup>55</sup>

მოწმეებით დამოწმებული ანდერძი გამოიყენება ინგლის-ამერიკული მემკვიდრეობის სამართლის სისტემაში, ხოლო ინგლისური სისტემისთვის ეს არის ერთადერთი ფორმა. ანდერძი დამოწმებულია მოწმეების მიერ ანდერძით მისი ხელით ან მისი სახელით სხვა პირის მიერ და ხელს აწერს მოანდერძეს ორი მოწმის თანდასწრებით.

მრავალი იურიდიული სისტემა საშუალებას იძლევა საგანგებო ვითარებაში მოხდეს ანდერძის გამარტივებული ფორმა, მაგალითად სამხედრო მოსამსახურეების, მეზღვაურების მიერ. აშშ-ს რიგი შტატების კანონების თანახმად, ზეპირი ანდერძი ნებადართულია, როგორც გამონაკლისი შეზღუდული ღირებულების ქონებასთან დაკავშირებით და მოანდერძისათვის, რომელიც საფრთხეშია სიკვდილი. გერმანიაში ზეპირი ანდერძი შეიძლება გააკეთოს საგანგებო სიტუაციებში მყოფმა პირმა სამი მოწმის თანდასწრებით. მაგრამ ასეთი ანდერძები ძალადაკარგულად იქცევა გარკვეული პერიოდის (ექვსი თვის ან სხვა პერიოდის) შემდეგ, მას შემდეგ რაც მოანდერძე იმ ადგილას იმყოფება, სადაც მას შეუძლია ანდერძის გაკეთება ერთ ჩვეულებრივ ფორმაში.<sup>56</sup>

რიგი ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებულია ერთობლივი ანდერძის შედგენა, რომლის შექმნა, მაგალითად, გერმანიაში, მხოლოდ მეუღლეების მიერ არის შესაძლებელი. საფრანგეთში შეუძლებელია ორი ან მეტი პიროვნების ანდერძი განწყობა.

ანგლო-ამერიკული მემკვიდრეობის შესახებ კანონის თანახმად, შესაძლებელია როგორც ერთობლივი, ასევე ორმხრივი ნება, რომელსაც ქმნიან მეუღლეები ან ბიზნეს პარტნიორებს შორის, რაც ითვალისწინებს საქმიანი საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებული ქონების გადაცემას ერთ-ერთ პარტნიორზე მეორის გარდაცვალების შემთხვევაში. პარტნიორი

რიგი ქვეყნების მემკვიდრეობის კანონი ითვალისწინებს მემკვიდრეობის ისეთ ფორმას, როგორცაა მემკვიდრეობის ხელშეკრულება (გერმანია, შვეიცარია), ე.ი. ხელშეკრულება მემკვიდრესა და იმ

<sup>55</sup> Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики“, М., 2009, №4, Стр. 13-19;

<sup>56</sup> Зенин И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2013, гл. 32

პირებს შორის, რომლებსაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადაეცემა მისი ქონება. მემკვიდრეობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ საზოგადოებრივი ნების სახით.<sup>57</sup>

ანდერძი თავისი შინაარსით ქონებრივი ხასიათის განკარგვის აქტია, თუმცა დასაშვებია ანდერძში შეიტანოს ბრძანებები, რომლებიც არ უკავშირდება მამკვიდრებლის ქონების განაწილებას მემკვიდრეებს შორის, კერძოდ: მეურვის დანიშვნა მცირეწლოვანი, ნების შემსრულებლის ან პირადი წარმომადგენლის დანიშვნა. მოანდერძის ქონებრივი დავალებები მოიცავს იმ პირების დაზუსტებას, ვისთვისაც განკუთვნილია მემკვიდრეობით მიღებული ქონება და მემკვიდრეების წილის განსაზღვრა ანდერძით გადაცემულ ქონებაში.

ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ როგორც პირები, რომლებიც შეიძენენ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას საყოველთაო მემკვიდრეობის წესით, ასევე სინგულარული (ნაწილობრივი) მემკვიდრეები, რომლებსაც გადაეცემათ მხოლოდ მათი ნაწილი ან ინდივიდუალური საკუთრების უფლებები. ანდერძის მოხსნა ასევე ფართოდ გამოიყენება. მოანდერძეს უფლება აქვს მემკვიდრეს ან ლეგატს მიანდოს გარკვეული ანდერძით დავალების შესრულება ბენეფიციარის სასარგებლოდ. კანონი ასევე ითვალისწინებს ანდერძით დავალებას, რომელიც სულაც არ უნდა იყოს ქონებრივი ხასიათის და შეიძლება შედგებოდეს მრავალფეროვანი ბრძანებებით, კერძოდ, მოანდერძის დაკრძალვის პროცედურის შესახებ.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების მემკვიდრეობის კანონში ფართოდ გამოიყენება მემკვიდრის დანიშვნის ინსტიტუტი.

მას შემდეგ, რაც ანგლო-ამერიკულ სამართალში, მემკვიდრეობის დროს, მემკვიდრეობით გადაცემული ქონება გადაეცემა არა მემკვიდრეს, არამედ მოანდერძის პირად წარმომადგენელს, შეერთებულ შტატებსა და ინგლისში არ არსებობს უნივერსალური სამართალმემკვიდრეობა.<sup>58</sup>

ანდერძი შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი სასამართლო პროცესში, თუ იგი შედგა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ანდერძით ქმედუნარიანობა, თუ მოანდერძის ნება არ იყო თავისუფალი, თუ ანდერძი ეწინააღმდეგებოდა ზნეობას და ასევე ნების ფორმა. ეს წესი ვრცელდება როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი არის გარიგება. ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივად, რომ იგი გარიგების სინონიმადაც კია მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ნება ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ანდერძი ცალმხრივ გარიგების ყველაზე გავრცელებული და კლასიკური მაგალითია. ანდერძის ცალმხრივობას ისიც

<sup>57</sup> Зенин И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2013, გვ. 32

<sup>58</sup> Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики,“ М., 2009, №4, Стр. 13-19;

განაპირობებს, რომ მისი ნამდვილობისათვის არ არის საჭირო სხვა პირის წინასწარი ნების თანდამთხვევა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1346-ე მუხლის თანახმად: „ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება“. კანონი არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა. ორ ან მეტ პირს არ შეუძლიათ ერთი ანდერძის შედგენა. ანდერძი მხოლოდ ერთი პირის ნებას გამოხატავს, თუმცა კანონი უშვებს ერთ გამონაკლისს - მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი, მაგრამ მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საქმე ეხება ურთიერთმემკვიდრეობას, ე.ი. მემკვიდრეობას ერთმანეთის შემდეგ - ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იქნება გარდაცვლილი მეუღლის მთელი ქონების ან მისი ნაწილის მემკვიდრე. დანარჩენ მემკვიდრეებს ფაქტობრივად ერთმევათ მემკვიდრეობის უფლება. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმებულ იქნეს ორივე მეუღლეს ნებით. შესაძლებელია ერთობლივი ანდერძის გაუქმება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნითაც, მაგრამ ეს აუცილებლად ორივე მეუღლის სიცოცხლეში უნდა მოხდეს.<sup>59</sup>

ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო დებულებაში მეუღლეები არ იფარგლებიან ურთიერთმემკვიდრეობის უფლებით. მათ შეუძლიათ ანდერძში მიუთითონ მესამე პირის შესახებ, რომელზეც უნდა გადავიდეს მეუღლეთა ქონება ცოცხლად დარჩენილი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში. ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს არც საფრაგეთისა და არც რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა.<sup>60</sup>

ანდერძი, როგორც გარიგება, ვადიანია და ცალმხრივი გარიგების სახით მოქმედებს სამკვიდროს გახსნამდე. მოანდერძის სიკვდილი გარდაუვალია. ადრე თუ გვიან იგი დადგება. ამიტომ მოანდერძეს სიცოცხლეშივე შეუძლია ანდერძის გაუქმება ან შეცვლა. ანდერძს, როგორც ცალმხრივ გარიგებას, პირობითი ელემენტებიც ახასიათებს. ანდერძის შედგენის აქტი, მოანდერძის სიკვდილამდე, სრულებითაც არ წარმოადგენს შეუცვლელსა და მყარ საფუძველს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოსაშობად. უფრო მეტიც, ანდერძის შედგენა, რა შინაარსითაც უნდა იყოს იგი, თავისთავად ასეთ ურთიერთობებს არ წარმოშობს. მას სხვა ფაქტთან ერთად აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა. იგი პირველადი იურიდიული ფაქტია, რომელიც ხვა იურიდიულ ფაქტთან - სამკვიდროს გახსნასთან ურთიერთკავშირში იწვევს სამემკვიდრეო-

<sup>59</sup> გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67;

<sup>60</sup> შენგელია რ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 62

სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას და ანდერძში მითითებულ პირთა მემკვიდრეებად აღიარებას.<sup>61</sup>

ანდერძის, როგორც გარიგების ცალმხრივობა, განაპირობებს მოანდერძის ფართო უფლებამოსილებებს სამკვიდრო ქონების განკარგვის სფეროში. ამ დროს საჭირო არ არის იმ პირის თანხმობა, ვის სასარგებლოდაც ხდება ანდერძის შედგენა. მოანდერძეს შეუძლია განსაზღვროს გადასაცემი ქონების ოდენობაც. ანდერძი შეიძლება შეეხოს მთელ სამკვიდროს ან მის ნაწილს, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მოანდერძეს შეუძლია განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. მაგალითად, ანდერძში მიუთითოს, რომ ერთ მემკვიდრეს უანდერძა სამკვიდროს ერთი მესამედი, მეორეს ერთი მეოთხედი და ა.შ. მოანდერძეს ასევე შეუძლია მიუთითოს, თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. მაგალითად, ერთ მემკვიდრეს საცხოვრებელი სახლი, მეორეს - ფულადი დანაზოგი. მაგრამ, თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის, მაშინ სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის.<sup>62</sup>

მოანდერძეს შეუძლია ანდერძით რამდენიმე მემკვიდრე დანიშნოს, მაგრამ მხოლოდ ერთი წილი განსაზღვროს, სხვების კი არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1349-ე მუხლის თანახმად „თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული და ერთ-ერთი მემკვიდრისატვის განსაზღვრული ქონება მთელს სამკვიდროს მოიცავს, მაშინ ყველა ანდერძით მემკვიდრემ თანაბარი წილი უნდა მიიღოს“. ეს მუხლი არეგულირებს პრაქტიკაში წარმოშობილ ხარვეზს, რომლის დროსაც მოანდერძე გადაწყვეტს, რომ მთელი ქონება ერთ მემკვიდრეს დაუტოვოს. ერთი მხრივ, ამ მუხლით იზღუდება მოანდერძის ნება მემკვიდრეებად პირთა განსაზღვრის შესახებ, მაგრამ მეორე მხრივ ეს ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმია, რათა არ მოხდეს მემკვიდრეობის უსამართლოდ და შეუსაბამოდ გადანაწილება.

ზოგჯერ ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს. ანუ ანდერძით მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონების გარდა მამკვიდრებელს რჩება სხვა ქონებაც, ე.წ. ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება. სამოქალაქო კოდექსის 1350-ე მუხლის მიხედვით, ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მემკვიდრეობით მიღების მოთხოვნის უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ მემკვიდრეს, რომელმაც სამკვიდროს ნაწილი უკვე მიიღო ანდერძის საფუძველზე, მაგრამ ამავე დროს, იგი კანონისმიერი მემკვიდრეც არის.

<sup>61</sup> იქვე. გვ. 62

<sup>62</sup> გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67

ასევე, ანდერძში შეიძლება მითითებულ იქნეს, რომ ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება გადანაწილდეს სხვა კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ის კანონისმიერი მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო სამკვიდრო წილი, კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე ვერ მიიღებს წილს ანდერძის გარეთ დარჩენილი სამკვიდრო ქონებიდან. ასეთი ქონება ნაწილდება კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის რიგითობის მიხედვით.

არსებობს შემთხვევები, როდესაც მოანდერძეს არ ჰყავს კანონისმიერი მემკვიდრეები და ამ დროს ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება შესაძლებელია ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილდეს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება სრულიად არ ამოწურავს სამკვიდროს.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის შინაგან ნებას. მოანდერძემ ანდერძში თვითონ უნდა მიუთითოს მემკვიდრეზე. ამიტომ მას უფლება არ აქვს სხვას მიანდოს მემკვიდრის დასახელება. შესაძლებელია ანდერძით მემკვიდრის დანიშვნა ისე, რომ არ იყოს მითითებული მისი სახელი და გვარი. მაგალითად, შესაძლებელია ანდერძში იმის ჩაწერა, რომ მთელი ქონება ან მისი ნაწილი ან კონკრეტული ნივთი ეანდერძათ დისშვილებს. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა მიეთითოს, რომელ დისშვილზეა ანდერძში საუბარი. რაც შეეხება დას, იგი არ შეიძლება განვიხილოთ ისეთ სუბიექტად, რომელსაც მოანდერძემ მემკვიდრის დანიშვნის უფლება მისცა.

თუ შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელი პირი ჰყავდა მამკვიდრებელს ანდერძის შედგენისათვის მხედველობაში, რადგან ნიშნები, რომლითაც განსაზღვრულია მემკვიდრე შეიძლება რამდენიმე პირს შეესაბამებოდეს, მაშინ კანონი ყველას მიიჩნევს მემკვიდრედ თანაბარი წილის უფლებით.

მემკვიდრეობის ჩამორთმევის მიზნით, მამკვიდრებელმა შეიძლება პირდაპირ მიუთითოს იმ პირებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში. მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრეებისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი საშუალებით: 1) ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ ამა თუ იმ მემკვიდრეს ერთმევა მემკვიდრეობა და 2) ანდერძით ქონების განაწილებისას ამა თუ იმ კანონით მემკვიდრისათვის გვერდის ავლით. პირველ შემთხვევაში პირი კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მაშასადამე, აღნიშნულ შემთხვევაში ვერ მიიღებს წილს სამკვიდროდან.<sup>63</sup> აღნიშნულ შემთხვევაში, კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მოხსენიებულნი არ არიან ანდერძში,

---

<sup>63</sup> ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, თბ., 2000, გვ. 407

ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხებია, ასევე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალნი არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან მათ უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.<sup>64</sup>

მოანდერძის მიერ მთელი საკვიდროს გაგაწილება მემკვიდრეებზე აშკარად მიუთითებს, რომ მას არ სურდა ქონების დატოვება სხვა მემკვიდრეებისათვის, ამიტომ ერთ-ერთი ანდერძით მემკვიდრის, რომელიც სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის, ეილის ანდერძით გათვალისწინებული კანონით მემკვიდრეებისათვის გადაცემა, მოანდერძის ნების საწინააქმდეგო იქნება, როცა მთელი სამკვიდრო ანდერძით მემკვიდრეებზე იყო განაწილებული, ერთ-ერთი მემკვიდრის სამკვიდროს გახსნამდე გარადაცვალება მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობას კია არ წარმოშობს, არამედ ამ წილს სხვა ანდერძით მემკვიდრეები მიიღებენ თანაბრად.

როცა მოანდერძის მიერ მთელი სამკვიდრო ანდერძითაა გათვალისწინებული, ანდერძით მემკვიდრეებზე გადავა სამკვიდროს ის ნაწილიც, რომლის მიღებაზეც ერთ-ერთმა ანდერძით მემკვიდრემ უარი თქვა ისე, რომ არ მიუთითა, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს სამკვიდროზე.

განსხვავებულად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მოანდერძემ მთელი სამკვიდრო გაანაწილა ანდერძით მემკვიდრეებზე, მაგრამ ერთ-ერთი ანდერძით მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი გაბათილდა, გადავა კანონით მემკვიდრეებზე.

სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლი ითვალისწინებს მოანდერძის მიერ სათავდარიგო მემკვიდრის დანიშვნის უფლებას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ანდერძში მემკვიდრესთან ერთად (ძირითადი მემკვიდრე) დასახელებულია პირი (სათადარიგო მემკვიდრე), რომელიც სამკვიდროდან წილს მიიღებს, თუ ძირითადი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება ან უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე და ან კიდევ ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. სამოქალაქო სამართლის თეორიაში სამკვიდრო ქონების გადასვლას დანიშნული მემკვიდრეობიდან სხვა პირზე, სუბსტიტუცია ეწოდება.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას აუცილებელია გაირკვეს ანდერძის ფორმის საკითხი. როგორც, უკვე აღვნიშნეთ, ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობდა ანდერძის როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმებს. თავდაპირველად ვხვდებოდით ზეპირი ფორმით დადებულ ანდერძებს,<sup>65</sup> რომლის დროსაც ნამდვილობისთვის საჭირო იყო მოწმეები, რათა მათ აღედგინათ და გადმოეცათ მოანდერძის დანაბარები. ზოგჯერ დანაბარებს ანდერძის მთქმელის

<sup>64</sup> გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67

<sup>65</sup> Харитонов У. О., История частного (гражданского) права Европы, Одесса, 1998, გვ. 268

დამსწრეებს წერილობითაც კი აფორმებდნენ. პარალელურად დამკვიდრდა წერილობითი ანდერძები, რომელთაც ზეპირ ანდერძთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა.

დღევანდელ, თანამედროვე სამოქალაქო სამართალი მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს. იმისათვის, რომ სარწმუნოდ იქნეს დადგენილი მოანდერძის უკანასკნელი ნება, აუცილებელია კანონით გათვალისწინებულ ფორმათაგან ერთ-ერთის დაცვა: სანოტარო ფორმა, შინაურული ანდერძი და დახურული ანდერძი.

კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიულად და როდის არაა საჭირო ამის გაკეთება. ამ საკითხის გადაწყვეტა მოანდერძის ნებაა.

სანოტარო წესით დასამოწმებელი ანდერძი შეიძლება ორნაირი წესით შედგეს. ერთი, როდესაც ანდერძს დამოუკიდებლად ადგენს მოანდერძე და ადასტურებს ნორატიუსი და მეორე, როცა ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწეროს ხელი.

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც რაიმე მიზეზით (ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო) შესაძლოა მოანდერძემ ანდერძს ხელი თვითონ ვერ მოაწეროს და მისი თხოვნით, ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი ნოტარიუსის თანდასწრებით. მოანდერძე აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ნოტარიუსთან ერთად სხვა პირის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ მოაწერა ხელი ანდერძს. თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუმუნჯი და წერა-კითხვის უცოდინარი, საანდერძო განკარგულება უნდა გასცეს ნოტარიუსმა ორი მოწმისა და ისეთი მოწმის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და ხელმოწერით დაადასტუროს, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას. ასევე, მოანდერძემ რომელიც უსინათლოა და წერა-კითხვა არ შეუძლია, საანდერძო განკარგულებას გადასცემს ნოტარიუსს სამი მოწმის თანდასწრებით.<sup>66</sup>

განსაზღვრულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ისეთი შემთხვევა, როცა ნოტარიუსმა არ იცი ენა, რომელზეც ანდერძია შედგენილი. ამ შემთხვევაში მოწვეულ უნდა იქნეს მთარგმნელი, რომლის ვინაობისა და მისი მოწვევის საფუძვლის შესახებ ანდერძში უნდა გაკეთდეს სათანადო აღნიშვნა. მან უნდა თარგმნოს ანდერძის ტექსტი და თარჯიმნობაც გასწიოს ანდერძის დადასტურების პროცესში.

---

<sup>66</sup> სსკ-ის 1361-ე მუხლი

## თავი V . კვლევის შედეგები

**კვლევის შედეგი.** სამოქალაქო სამართლის თეორიასა და ამჟამინდელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მემკვიდრეობას. კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებისა და ანდერძით მემკვიდრეობის რიგის ცვლილებისა, ის არ არის მოკლებული ხარვეზებს.

სწორედ, ამ თვალსაზრისით, საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს მემკვიდრეობის ინსტიტუტის ნების შესწავლის აუცილებლობა, როგორც საკუთრების განკარგვის უფლების განხორციელების ძირითადი ფორმა, აგრეთვე, საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება ამ ინსტიტუტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ცხოვრებაში რეალურად კანონით მემკვიდრეობას უფრო ხშირი გამოყენება აქვს, ვიდრე ანდერძით მემკვიდრეობას. ჩნდება კითხვა - რატომ? მიზეზი ალბათ რამდენიმეა. პირველყოვლისა მოქალაქეებს აკმაყოფილებთ კანონით მემკვიდრეობათ რიგითობა. მეორე მიზეზი, შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანი სიკვდილზე არ ფიქრობს, სიკვდილი ყოველთვის მოულოდნელია და ყველა ვერ ასწრებს ანდერძის შედგენას. კიდევ, ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, ფსიქოლოგიური მომენტი, ვინაიდან ზოგიერთთა აზრით ანდერძი სიკვდილთან ასოცირდება, რადგან ხალხში დამკვიდრებულია აზრი, რომ ანდერძი სიკვდილის წინ იწერება.

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია მემკვიდრეობითი სამართლის ისეთი საკითხი, როგორც მემკვიდრეობა, კერძოდ კი ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ჰქვია. მემკვიდრეობის ინსტიტუტმა, საერთოდ და ანდერძით მემკვიდრეობამ, საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზა გაიარა ვიდრე იგი თანამედროვე სახით ჩამოყალიბდებოდა. სამართლის ამ ინსტიტუტს იცნობდა ისეთი უძველესი ქვეყნების კანონმდებლურ, როგორც იყო ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი. გარდაცვლილი პირის ქონება მემკვიდრეებზე შეიძლება გადავიდეს როგორც ანდერძით ასევე კანონით მემკვიდრეობის წესით, ასევე შესაძლებელია გარდაცვლილის ქონება ერთდროულად გადაეცეთ, მაგრამ აუცილებელია, რომ მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება გააჩნდეს.

მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, რომლის მიზანია კანონით დადგენილი წესით მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირება. მემკვიდრეობა ხელს უწყობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტაბილური დონის შენარჩუნებას. თუმცა, შესაძლებელია მემკვიდრეობას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც ჰქონდეს, ის შეიძლება პარაზიტული არსებობის შესაძლებლობას ქმნიდეს იმ პირებისათვის, რომლებმაც ამ გზით მიიღეს უძრავი ქონება, აქციები, ანაზრები და სხვ. ეს კი თავის მხრივ მავნე ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე და ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასა და თვით ამ გზით გამდიდრებულ პირთა დეგრადირებას.

ანდერძით მემკვიდრეობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ძველი მოაზროვნეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მემკვიდრეობის ინსტიტუტის არსებობა საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა დამსახურებისამებრ უნდა მიიღოს მატერიალური სიკეთე.

რა უარყოფითი შედეგებიც არ უნდა ახასიათებდეს მემკვიდრეობას, მისი არსებობა და თავისუფლება უფრო სასარგებლოა, ვიდრე მისი შეზღუდვა.

სამემკვიდრეო სამართლის სფეროში ცნობილი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით, ყველანაირად შევეცადე ჩამომეყალიბებინა და გადმომეცა მემკვიდრეობის არსი, მისი სახეები და წარმომეჩინა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ვფიქრობ მემკვიდრეობის სამართლისთვის არის დამახასიათებელი. ასევე შევეცადე მომეხდინა შედარებითი ანალიზი საქართველოსა და

საზღვარგარეთის ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს შორის, მემკვიდრეობის სამართლებრივი კვლევის საფუძველზე.

ანდერძი ცალმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია, რომლის ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის მიერ მის მიღებაზე. ეს ნიშნავს, რომ გარიგება-ნების გამოვლენა-ნამდვილია მაშინვე, როცა მამკვიდრებელი კანონით დადგენილი ფორმის დაცვით გამოხატავს თავის ნებას. ამიტომ ანდერძის განმარტების დროს უფრო სხვა წესები გამოიყენება, ვიდრე იმ გარიგებათა განმარტებისას, რომელთა ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღებაზე. მაგრამ რაც საერთოა ყველა გარიგებისათვის, არც ანდერძის დროს რჩება უყურადღებოდ: ნება გამოხატული უნდა იყოს კანონით დადგენილი ფორმით. ფორმის დაუცველად გამოხატული ნება არ ჩაითვლება ანდერძად და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ანდერძის შემთხვევაშიც ლაპარაკია იმ ნების გამოვლენის განმარტებაზე, რომელიც განხორციელებულია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით. ამ დროს გადამწყვეტია თვით მამკვიდრებლის ნება და არა ამ ნების გამოვლენის მიმღებთა შემეცნების შესაძლებლობანი. ცხადია ანდერძის დროსაც იგი ეხება მესამე პირებს, ე.ი. მათ, ვინც მემკვიდრეობა უნდა მიიღოს, მაგრამ ანდერძის ნამდვილობა არ არის იმაზე დამოკიდებული, მემკვიდრე მიიღებს თუ არა მას. გარდა ამისა, ანდერძის შედგენა არ იწვევს ანდერძის დამტოვებლის ე.წ. გარიგებით შებოჭვას. ანდერძით გათვალისწინებული შედეგები მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დგება.

მაშასადამე, ანდერძის განმარტების დროს უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის ნება, ის, თუ რისი თქმა სურდა მას თავის ანდერძში. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა გარემოება, ფაქტი თუ ნივთმტკიცებულება, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით კავშირში იმყოფებიან მონდერძის მიერ ნების გამოვლენასთან: პირადი წერილები, შესაძლო მემკვიდრეებთან პირადი დამოკიდებულება და ა.შ.

და ბოლოს, ცხადია, სამოქალაქო კოდექსი, რაც არ უნდა იდეალური იყოს იგი, კანონია და მისგან მხოლოდ იმის მოთხოვნა შეიძლება, რაც შეიძლება მოსთხოვო კანონს. სამოქალაქო სამართალი კონსტიტუციასთან ერთად იძლევა ამ უნარის გამომჟღავნებისა და დაცვის სამართლებრივ გარანტიას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ცხოვრებაში რეალურად კანონით მემკვიდრეობას უფრო ხშირი გამოყენება აქვს, ვიდრე ანდერძით მემკვიდრეობას. ჩნდება კითხვა - რატომ? მიზეზი ალბათ რამდენიმეა. პირველყოვლისა მოქალაქეებს აკმაყოფილებთ კანონით მემკვიდრეობათ რიგითობა. მეორე მიზეზი, შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანი სიკვდილზე არ ფიქრობს, სიკვდილი ყოველთვის

მოულოდნელია და ყველა ვერ ასწრებს ანდერძის შედგენას. კიდევ, ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, ფსიქოლოგიური მომენტი, ვინაიდან ზოგიერთთა აზრით ანდერძი სიკვდილთან ასოცირდება, რადგან ხალხში დამკვიდრებულია აზრი, რომ ანდერძი სიკვდილის წინ იწერება.

საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი ისტორიულად იცნობდა მემკვიდრეობის ორ ფორმას:კანონით მემკვიდრეობას და ანდერძით მემკვიდრეობას,მაგრამ,თუ თვალს მივადევნებთ კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის განვითარების მთელ პროცესს,დავინახავთ,რომ კანონისმიერი მემკვიდრეობა უფრო განვითარებული იყო,ვიდრე ანდერძისმიერი მემკვიდრეობა.ფაქტი ფაქტად რჩება და კანონით მემკვიდრეობა უფრო ხშირია, ვიდრე ანდერძით მემკვიდრეობა. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალური, რომ მემკვიდრეობის განაწილება ხშირად ხდება გაუგებრობისა და დავის საგანი გარდაცვლილის ახლო ნათესავებს შორის. სწორედ, ამ საკითხთან დაკავშირებული გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავლად ანდერძისმიერი მემკვიდრეობა მიმაჩნია.

## გამოყენე

### ბული ლიტერატურა

#### ქართული და უცხოენოვანი მონოგრაფიები:

5. ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 5, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი. თბილისი, 2000;
6. ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, 2007;
7. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, II გამოცემა, გამ. "მერიდიანი", თბილისი, 2012;
8. გველესიანი ი., ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით, მონოგრაფია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი შრომები. I. თბილისი, 2011, გვ. 169-170;
9. გუდავაძე ა., ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატია, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N2(34), 2016, გვ. 56-67;
10. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2003;
11. კვინიკაძე რ., მემკვიდრეობა კანონით და ანდერძით, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი, 2010, გვ.95-98;
12. მიხაილოვა ნ., რომის სამართალი, თბილისი., 2009;
13. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამ. "მერიდიანი", თბილისი, 2003;
14. მეტრეველი ვ., რომის სამართალი: საფუძვლები, თბილისი, 2009;
15. ნადარეიშვილი, გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი. გამ. „მერიდიანი“, თბილისი. 1996;
16. ნარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2005;
17. სურგულაძე ივ.. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბილისი. 2002;

18. შენგელია, რ. შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი: (თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“ თბილისი, 2011.
19. შენგელია რ. შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი:(თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, თბილისი, 2015
20. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1984;
21. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი ( მესამე გამოცემა),თბილისი 2002
22. რ. შენგელია , ე. შენგელია მემკვიდრეობის სამართალი , თბილისი 2007, გვ 33
23. რ. შენგელია , ე. შენგელია მემკვიდრეობის სამართალი , თბილისი 2007, გვ 145
24. რ. შენგელია , ე. შენგელია მემკვიდრეობის სამართალი , თბილისი 2007, გვ 153
25. ზ.ახვლდენიანი,მემკვიდრეობის სამართალი,თბ.გამომც „იურისტის ბიბლიოთეკა“,2007,გვ44
26. გ.ლობჯანიძე , რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი.ქუთ.2009.გვ 112
- 27.

**უცხოენოვანი მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები:**

28. Абраменков, М.С. Наследование по завещанию в зарубежных странах / М.С. Абраменков // Наследственное право. – 2008. – № 4. – С. 20-34
29. Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики,“ М., 2009, №4, Стр. 13-19;
30. Зенин И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М., 2013
31. Тарасевич М. В., Правовое регулирование наследования по завещанию в праве зарубежных стран, Челябинский Государственный университет, 2020
32. Харитонов У. О., История частного (гражданского) права Европы, Одесса, 1998;

**ნორმატიული აქტები:**

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995) დღეის მდგომარეობით;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997) დღეის მდგომარეობით;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,წიგნი მეხუთე,გვერდი 377
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1371

**ვებ. გვერდები:**

33. <https://matsne.gov.ge>;

34. <http://www.supremecourt.ge>;

35. <https://www.myadvokat.ge/ka/about/524/savaldebulo-wili>